

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: განათლების მეცნიერებები

გორგაძე ირინა

**ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობა ეთნიკური
უმცირესობებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო
საფეხურზე სწავლების პროცესში**

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი : კახა გაბუნია

თბილისი
2019

ანოტაცია

მოგეხსენებათ, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის რამდენიმე რეგიონში კომპაქტურად არიან ჩასახლებულები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთა ჯამური რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 16.2% შეადგენს. (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2012) ყველასთვის ცნობილია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა საჭირო დონეზე არ იციან სახელმწიფო ენა. აქედან გამომდინარე, ხშირად აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორცაა ინტეგრაცია, დასაქმება, სწავლა-განათლება და ა.შ

იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის საფუძვლიანი შესწავლა სკოლიდან იწყება, აუცილებელია, პირველ რიგში ეროვნული სასწავლო გეგმა იყოს ზედმიწევნით სწორად აგებული და მისი მიზნები მიიღწეოდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული საკითხის ესოდენ **აქტუალობისა**, პრობლემა მაინც მოუგვარებელი რჩება. არაქართულენოვან მოსწავლეებს არ აქვთ შესაბამისი ენობრივი გარემო, რათა გაიუმჯობესონ ქართული ენის ცოდნის დონე. ამასთანავე, მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის სასწავლო რესურსი; ადგილობრივი მასწავლებლები საჭიროებენ მეთოდურ გადამზადებას; მოსწავლეთა მშობლები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მათი შვილების წარმატებით; სასწავლო პროგრამის (ესგ) მიზნების მიღწევადობა არ შეესაბამება მოსწავლეთა შესაძლებლობებს;

მოვიძიეთ ინფორმაციები, კვლევები და აღმოჩნდა, რომ არსებულ თემასთან დაკავშირებით წინამდებარე კვლევა არ მოიძებნა. შესაბამისად ჩვენი საკვლევო თემა იქნება **სიახლე**. კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია წინ წამოვწიოთ ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის სწავლების ხარვეზები და ვიფიქროთ მათი აღმოფხვრის გზებზე.

მეორეული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ დავსახეთ **ჰიპოთეზა**:

1. არაქართულენოვანი მოსწავლეების დიდ ნაწილს უჭირს ქართულად საუბარი.

2. ქართულად საუბარი უჭირთ იმიტომ, რომ:

- ესგ-ით განსაზღვრული მიზნების მიღწევადობა აღემატება მათი სწავლის შესაძლებლობებს;
- არ აქვთ შესაბამისი ენობრივი გარემო;
- არ ჰყავთ კვალიფიციური მასწავლებლები;
- არ აქვთ შესაბამისი სასწავლო რესურსები;
- ოჯახის მხრიდან არ აქვთ სწავლის ხელშეწყობა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დავდგინოთ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- თემის ირგვლის არსებული ინფორმაციის მოძიება/დამუშავება;
- თემასთან დაკავშირებული კვლევების მოძიება;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ტესტებისა და კითხვარის შემუშავება;
- კვლევის წარმართვა (მასწავლებლების გამოკითხვა და მოსწავლეებში ტესტირების ჩატარება);
- შედეგების დამუშავება;
- მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი: ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში.

კვლევის ობიექტი: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევადობის შესაძლებლობის კვლევა ეთნიკური უმცირესობებისთვის.

ნაშრომში გამოვიყენეთ **თვისებრივი კვლევის მეთოდი**. დავამუშავეთ თემის შესაბამისი ლიტერატურა და დოკუმენტაცია (სამაგიდე კვლევა). ასევე გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევა. გამოვიკითხეთ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები. კვლევის ინსტრუმენტია ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. კვლევისას

გამოვიყენეთ კვლევის მიზნის შესაბამისად შედგენილი კითხვარი (მასწავლებლებისთვის) და ტესტები (მოსწავლეებისთვის)

კვლევის სამიზნე ჯგუფი: ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლები და მოსწავლეები.

არამიზნობრივი შერჩევა: სულ გამოიკითხა 41 მასწავლებელი.

მიზნობრივი შერჩევა: ტესტირება ჩატარდა ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის 100 მოსწავლეს.

Annotation

As you already know, Georgia is a multi-ethnic country. Ethnic minorities are compactly settled in several regions of our country, with a total population of about 16.2% (Department of Statistics of Georgia, 2012) It is also very well known that ethnic minorities don't know the state language. Hence, they often face problems such as integration, employment, learning and education, etc.

Based on the fact that learning of the national language for ethnical minorities starts from the school, it is essential that the national curriculum should be constructed correctly and its goals should be achievable in the process of teaching Georgian as a second language for ethnic minority pupils.

However, despite the relevance of the mentioned issue, the problem still remains unresolved. Non-Georgian pupils don't have the appropriate linguistic environment to improve the level of Georgian language;

Study resource is not equally available for pupils;

Local teachers need methodical training;

Pupils' parents are less interested in their children's success;

The achievement of the objectives of the curriculum does not comply with the pupils' capabilities;

We found out the information relevant to the topic, as well as researches and found out that there is no previous research on this topic. Therefore, our research will be a novelty. Based on the obtained results of the survey, we can highlight gaps in teaching Georgian as a language in ethnic minorities and think about ways to eliminate them.

After processing secondary information, we set the following hypothesis:

1. The majority of non-Georgian language students/pupils find it hard to speak Georgian.
2. It's difficult to speak Georgian because:
 - The goals achieved by the national study plan/curriculum exceeds their learning capabilities;

- They don't have the appropriate language environment;
- They don't not have qualified teachers;
- They don't have appropriate learning resources;
- They don't have support in learning from their family.

The aim of the following Master's thesis is to establish the goals of the National Curriculum for the ethnic minorities in the process of teaching Georgian as a second language, on a basis level. To accomplish this goal, we set the following tasks:

- Finding / processing existing information about the topic;
- Finding topic-related research;
- Determination of research methodology;
- Development tests and questionnaires;
- Survey Management (Teacher examination and testing of Pupils);
- Development of results;
- Develop recommendations based on the obtained results.

The subject of the study: The achievement of the objectives of the National Curriculum for Ethnic Minorities in the process of teaching Georgian as a second language, on a basis level.

Research Object: Research of the possibility of achieving the goals set out in the National Curriculum for ethnic minorities.

In the following thesis the qualitative research method was used. We have processed the relevant literature and documentation of the topic (board research). We also used quantitative research. We have interviewed the teachers of Georgian as a second language. The research tool is a semi-structured questionnaire. In the study we used a questionnaire, which was compiled according to research purposes (for teachers) and tests (for pupils)

Target group of the research: Teachers and pupils of Georgian as a second language.

Improper selection: 41 teachers were interviewed.

Target selection: Testing was conducted for 100 pupils who were on the basis level of Georgian as a second language.

სარჩევი

შესავალი	9
I თავი. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები და ამოცანები	12
§1.1 საგნის სწავლების საფეხურების დახასიათება.....	13
§1.2. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე.....	13
§1.3 ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება საბაზო საფეხურზე.....	15
§1.4. ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი.	15
§1.5 ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები).....	18
§1.6 პროგრამის შინაარსი	19
§1.7 ენის სწავლების მეთოდები.....	20
§1.8 ენის სწავლების ძირითადი პრინციპები:.....	21
§1.9 მეტაკოგნიტური უნარების განვითარება	21
§1.10 მოსწავლის შეფასების სისტემა	22
თავი II. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებების აღწერა საბაზო საფეხურზე.....	24
§2.1 სწავლების კომპონენტები - VII დონე.....	25
§2.2 სწავლების კომპონენტები - VIII დონე.....	29
§2.3 სწავლების კომპონენტები - IX დონე	33
თავი III . სახელმძღვანელოები	36
თავი IV. მასწავლებლები.....	39
§4.1 პროგრამა- ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის.....	42
§4.2 არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის შევსება	46
§4.3. ლინგვისტური ბარიერი.....	48

თავი 5. სხვადასხვა კვლევის მიმოხილვა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით	
საქართველოს მაგალითზე.....	54
§5.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების სოციალური ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.....	54
§5.2 ბილინგვური სწავლება.....	56
§5.3. არაქართულენოვან მოსწავლეებში ქართული ენის ცოდნის დონე - სახელმწიფო შეფასება .	56
კვლევითი ნაწილი	59
დასკვნები.....	71
რეკომენდაციები	73
გამოყენებული ლიტერატურა	75
დანართი 1	
დანართი 2	
დანართი 3	
დანართი 4	

შესავალი

საქართველო მრავალენოვანი და მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 16.2 პროცენტისთვის ქართული მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი სომხებითა და აზერბაიჯანელებით არის დასახლებული, რომელთა უმრავლესობაც ქართულ ენას ძალიან ცუდად ან საერთოდ ვერ ფლობს. უკანასკნელი გარემოება ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას აფერხებს და ასევე, მათთვის განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება საგანმანათლებლო სისტემის რეფორმებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამ რეფორმებმა ნამდვილად დიდი გავლენა იქონია ეროვნულ უმცირესობებზე. სწორედ ამ რეფორმების შედეგად საქართველოს მთავრობამ ტოლერანტობისა და ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც 2009 წლის მაისიდან ხორციელდება. ეს კონცეფცია ეროვნული უმცირესობათა განათლების გაუმჯობესების ექვს ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია: ეროვნული უმცირესობებისათვის სკოლამდელი, უმაღლესი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა; ეროვნულ უმცირესობებათა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ზრდასრულთა განათლების პროგრამებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა.

2011 წლიდან შექმნილია სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ასევე ეროვნულ უმცირესობებში ქართული ენის სწავლებას უწყობს ხელს. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან დიდი მონდომებისა, რეალურად, ეროვნულმა უმცირესობებმა ქართული ენა საჭირო დონეზე არ იციან. ამას ადასტურებს როგორც სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, ასევე ქართულის, როგორც მეორე ენის პროგრამის

ხელმძღვანელები და პედაგოგები. ქართულის არცოდნის მიზეზი ბევრი ფაქტორი შეიძლება იყოს, თუმცა ყველაზე მეტად დაგვანტერესა ეროვნულმა სასწავლო გეგმის მიზნებმა და ამ მიზნების მიღწევადობამ ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებში. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ძირითადად ამ კუთხით გვეკვლია ეს საკითხი. უფრო ზუსტად კი, გვანტერესებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, განვიხილეთ ქართულის, როგორც მეორე ენის ეროვნული სასწავლო გეგმა. შემდეგ მოვიძიეთ კვლევები და აღმოჩნდა, რომ კონკრეტულად ეს საკითხი არავის უკვლევია. შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობასთან დაკავშირებით კვლევა არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, წინამდებია კვლევა ორიგინალურია და **სიახლეს** წარმოადგენს.

თემატიკით დაინტერესებისა და მეორეული ინფორმაციის კარგად დამუშავების შემდეგ დავსახეთ **ჰიპოთეზა**:

- არაქართულენოვანი მოსწავლეების დიდ ნაწილს უჭირს ქართულად საუბარი.
- ქართულად საუბარი უჭირთ იმიტომ, რომ :
 1. ესგ-ით განსაზღვრული მიზნები აღემატება მათი სწავლის შესაძლებლობებს.
 2. არ აქვთ შესაბამისი ენობრივი გარემო;
 3. არ ჰყავთ კვალიფიციური მასწავლებლები;
 4. არ აქვთ შესაბამისი სასწავლო რესურსები;
 5. ოჯახის მხრიდან არ აქვთ სწავლის ხელშეწყობა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- თემის ირგვლის არსებული ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.
- თემასთან დაკავშირებული კვლევების მოძიება/განხილვა

- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა.
- ტესტებისა და კითხვარის შემუშავება
- კვლევის წარმართვა (მასწავლებლების გამოკითხვა და მოსწავლეებში ტესტირების ჩატარება)
- შედეგების დამუშავება.
- მიღებული დასკვნის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის საგანია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში. ხოლო კვლევის ობიექტი: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევადობის შესაძლებლობის კვლევა ეთნიკური უმცირესობებისთვის.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი. დავამუშავეთ თემის შესაბამისი ლიტერატურა და დოკუმენტაცია (სამაგიდე კვლევა). ასევე, გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევა. გამოვიკითხეთ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები. კვლევის ინსტრუმენტია ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. კვლევისას გამოვიყენეთ კვლევის მიზნის შესაბამისად შედგენილი კითხვარი(მასწავლებლებისთვის) და ტესტები(მოსწავლეებისთვის)

კვლევის სამიზნე ჯგუფი: ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები და მოსწავლეები.

არამიზნობრივი შერჩევა: სულ გამოიკითხა 41 მასწავლებელი.

მიზნობრივი შერჩევა: ტესტირება ჩატარდა ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის 100 მოსწავლეს.

აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული ნაშრომში.

I თავი. ქართული, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები და ამოცანები

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას. მისი მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება და ამით ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების მთავარი მიზნის განხორციელებას. ეს არის ეროვნულ ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

უფრო კონკრეტულად ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმის მიზანია, მოსწავლე უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს:

- წარმატებული კომუნიკაცია;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა;
- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- ქართული ენის ცოდნის შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად;

➤ სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა. (ესგ.2018,თავი 15)

ამ საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. კერძოდ, მოსწავლემ უნდა:

1. აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
2. შეიძინოს სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევა:
 - სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი);
 - განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;
 - ენის სწავლის უნარ-ჩვევები (სწავლის სწავლა);
 - სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვა).
3. ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოუკიდებულება:
 - პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
 - ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
 - ენების სწავლის სურვილი და სხვა;
4. ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.(ესგ.2018,თავი 15)

§1.1 საგნის სწავლების საფეხურების დახასიათება

§1.2. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას სკოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები აქვს.

დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება და ქართული ენის სწავლის მიმართ ინტერესის სტიმულირება.

მნიშვნელოვანია, მოზარდებმა შეიყვარონ უშუალოდ, ქართული ენის სწავლების პროცესი. ამისათვის სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ასაკობრივი ჯგუფის ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს. დაწყებით საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების აღმზრდელობითი მიზანია მოზარდის მომზადება მომდევნო - საბაზო საფეხურზე წარმატებული სწავლისათვის. ამ მიზნის მისაღწევად მან უნდა უზრუნველყოს:

- მოზარდის გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალის ამოქმედება და განვითარება (მეხსიერება, ფანტაზია, წარმოსახვა, მრავალგვარი აზროვნება და სხვა);
- დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება საკუთარი თავის, სხვების, სწავლის, საგნის, უცხო სამყაროს მიმართ;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება, რომელთაგან სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტულია ნებისყოფა, ყურადღების მობილიზება, წესების დაცვა და პატივისცემა, სასწავლო ნივთების/საქმიანობის მოწესრიგება, თანამშრომლობა (მუშაობა წყვილად, გუნდურად, ურთიერთდახმარება), შემოქმედებითობა.(ესგ. 2018)

რაც შეეხება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზანს, სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ქართულ ენაზე ზეპირმეტყველებას (მოსმენა-ლაპარაკი) და განსხვავებული ენობრივი და კულტურული სამყაროს აღმოჩენას. დაწყებით საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის ინტერესის სტიმულირება, მოტივაციის გაძლიერება: მოზარდებმა უნდა შეიყვარონ როგორც ენის სწავლის პროცესი ასევე, თვით ქართული ენა და კულტურა. სწავლის პროცესში წარუმატებლობის, მარცხის განცდა უნდა გამოირიცხოს. ამისათვის სწავლების მეთოდიკამ სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ფსიქიკური განვითარების თავისებურებები და გამოიყენოს სწავლების შესაფერისი ხერხები.

§1.3 ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება საბაზო საფეხურზე

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას სკოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები აქვს.

საბაზო საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ეტაპია: საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ტოვებს სკოლას და აქტიურ ცხოვრებაში ერთვება. ამ საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის მთავარი აღმზრდელობითი მიზანია მოსწავლეში მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება (ტოლერანტობა, პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა, თვითგანვითარება, კრიტიკული აზროვნება, თვითგამოხატვა. . .).

ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო მიზანია მოსწავლის აღჭურვა საბაზისო ცოდნით, რომელიც დაეხმარება მას, გზა გაიკვალოს თანამედროვე ცხოვრებაში. კერძოდ, ამ საფეხურის ბოლოს მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია ქართულ ენაზე.
- ნებისმიერი ტიპის არამხატვრული ტექსტის დამუშავება და გაანალიზება;
- კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების გაანალიზება;
- ცოდნის დონის დამოუკიდებლად ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით.

საბაზო საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლე მოემზადოს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება. ამის უზრუნველსაყოფად სწავლების მეთოდოლოგიაში უნდა დაინერგოს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც გამოავლენს მოსწავლის პოტენციალის თავისებურებებს.(ესგ,2018.თავი 15)

§1.4. ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი.

სტანდარტი განსაზღვრავს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მოსალოდნელ შედეგებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის. ქართულის, როგორც მეორე ენის დონის სტანდარტი დაყოფილია დონეების მიხედვით, რაც ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმას უფრო მოქნილს ხდის და მასწავლებელს საშუალებას აძლევს, კონკრეტული კლასის მოთხოვნების მიხედვით შეარჩიოს სტანდარტის ამა თუ იმ დონის შესაბამისი სახელმძღვანელო და სასწავლო მასალა.

საბაზო საფეხურის ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისას მოსწავლეები სახელმწიფო ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებსაც. საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეეძინილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის „ქართულის, როგორც მეორე ენა“ სწავლა-სწავლების მიზნები მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს განუვითაროს ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ქართული ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარი სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში;
- მოსწავლეს განუვითაროს სხვა კულტურათა დაფასებისა და პატივისცემის უნარი;
- ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებაში მოსწავლის სრულფასოვან ინტეგრირებას;

- მოსწავლეს განუვითაროს ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარი.(ესგ.2018,ქ.მ საბაზო საფეხურის სტანდარტი)

ამ მიზნებზე მიმართული მუშაობით საგანი „ქართული, როგორც მეორე ენა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიითა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა თუ ღირებულებების განვითარება-ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს ქართულის, როგორც მეორე ენის ლიტერატურის ფარგლებში. სტანდარტის შედეგები დაყოფილია სამ მიმართულებად: კომუნიკაცია, სოციოკულტურა და კულტურა და სწავლის სწავლა.

კომუნიკაცია - ეს არის საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშესაწყობა. იგი გულისხმობს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ტექსტის გაგებასა და გაანალიზებას შინაარსისა და სტრუქტურული-ენობრივი მახასიათებლების მიხედვით. ეს არის ენობრივი მარაგის თავისუფლად გამოყენება საჭირო დროს.

სოციოკულტურა და კულტურა - ეს არის ინტერკულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა. ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაანალიზება, როგორც ინტერკულტურული თვალსაზრისით, ასევე განსხვავებულ კულტურულ თუ სოციოკულტურულ კონტექსტებში. სოციოკულტურა და კულტურა ასევე გულისხმობს ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების, ღირებულებების აღმოჩენასა და გაგებას.

სწავლის სწავლა - ეს არის სწავლის პროცესის დაგეგმვა, შეფასება და მონიტორინგი სასწავლო მიზნებისა და ამოცანების გააზრება; შედეგების დამოუკიდებლად შეფასება; იმ ფაქტორებისა და მიზეზების გაცნობიერება, რომლებიც აფერხებს, ან პირიქით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას. (ესგ,2018,ქ.მ სტანდარტი)

§1.5 ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)

ცხრილი N1.1

მიმართულება: კომუნიკაცია
<ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს: შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემასა სხვადასხვა ტიპის მოსასმენი ან წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.
<ul style="list-style-type: none"> ✓ სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით;
<ul style="list-style-type: none"> ✓ სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა;
<ul style="list-style-type: none"> ✓ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება; (ქ.მ.საბ.4.)
<ul style="list-style-type: none"> ✓ ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება; (ქ.მ.საბ.5.)
<ul style="list-style-type: none"> ✓ ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარჩვევების გამოვლენა. (ქ.მ.საბ.6.)

ცხრილი N 1.2

მიმართულება: სოციოკულტურა და კულტურა
<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება; (ქ.მ.საბ.7.)
<ul style="list-style-type: none"> ✓ განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა. (ქ.მ.საბ.8.)

✓ 1. განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა, თავისუფლად ორიენტირება.(ქ.მ.საბ.9.)
--

ცხრილი N 1.3

მიმართულება: სწავლის სწავლა
<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი); (ქ.მ.საბ.10.)
<ul style="list-style-type: none"> ✓ სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა; (ქ.მ.საბ.11.)
<ul style="list-style-type: none"> ✓ სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულსაკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.(ქ.მ.საბ.12.)

§1.6 პროგრამის შინაარსი

საგნობრივი პროგრამის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს პროგრამის შინაარსი, რომელიც წარმოადგენს იმ ენობრივი მასალისა და სოციოკულტურული თემატიკის სარეკომენდაციო ჩამონათვალს, რომლითაც შეიძლება სტანდარტით განსაზღვრული უნარ-ჩვევების განვითარება. შინაარსი მოიცავს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს, კერძოდ, ეს არის პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, პრაგმატული ტექსტები, საქმიანი ქაღალდები, კორესპონდენცია, ბიოგრაფიული ტექსტები, მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები. შინაარსი ასევე მოიცავს ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლ სტრატეგიებს, მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. რაც შეეხება ენობრივ მახასიათებლებს, პროგრამის შინაარსში შედის მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები და ლექსიკა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში N1.

§1.7 ენის სწავლების მეთოდები

სწავლების მეთოდები დამოკიდებულია მოსწავლეთა სწავლების სტილსა და მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. იმისათვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს სწავლების შეთავაზებული მეთოდები, სწავლის ეფექტურ სტრატეგიებსაც უნდა ფლობდეს. მათი სწორად შერჩევა და გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. შესაბამისად, იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც სტანდარტით არის განსაზღვრული. სწავლების მეთოდის შერჩევას, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეებში რა კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს ეს მეთოდი და რა არის მისი ძლიერი ან სუსტი მხარე. მეთოდის შერჩევას, ასევე, უნდა დავფიქრდეთ:

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება და ა.შ.(ე.ს.გ,2018-სტანდარტი)

§1.8 ენის სწავლების ძირითადი პრინციპები:

ცხრილი N 1.4

✓ მასწავლებელმა კარგად უნდა შეისწავლოს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები.
✓ ნასწავლებელმა კარგად უნდა შეარჩიოს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, მეთოდები და მიდგომები
✓ მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი დავალებები და აქტივობები
✓ მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობებში
✓ მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა საინტერესო სასწავლო მასალითა და სწავლების ახალი მეთოდებით.
✓ მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს შეცდომებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება.
✓ მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები; განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპები და განახორციელოს ჯგუფური სამუშაოები.

(ე.ს.გ.2018-სტანდარტი)

§1.9 მეტაკოგნიტური უნარების განვითარება

იმისათვის, რომ მოსწავლეს სწავლის უნარები განუვითარდეს, მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა. (მაგ. მასწავლებელმა მოსწავლეებს წაუკითხა მათემატიკური ამოცანა. წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეების გასაგონად, აყალიბებს ამოცანის ამოხსნის გზებს. რა და რა ხერხებით შეუძლია სწორ პასუხამდე მისვლა)

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - თავდაპირველად მოსწავლეები ეცნობიან შესასრულებელი დავალების პირობას. შემდეგ კი ჯგუფურად ჩამოაყალიბებენ

დავალების შესასრულებლად საჭირო გზებს და სტრატეგიებსაც დაისახავენ. საბოლოოდ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და იმსჯელებენ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - კონკრეტული დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აღწერონ დავალების შესრულების დროს განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ. მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედითუნარიანობას. (ქ.მ სტანდარტი, 2018წ.)

§1.10 მოსწავლის შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და კონტროლი. მოსწავლის შესაფასებლად პირველ რიგში უნდა არსებობდეს სასკოლო საათობრივი ბადა, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებს. მოსწავლის შეფასება უნდა მოხდეს სხვადასხვა ფორმით (პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წერიტი ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა, ესსე და ა.შ). აუცილებელია, მოსწავლეს წინასწარ გავაცნოთ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

არსებობს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაძღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში და ფასდება ქულით. ხოლო განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის მოტივაციის ამაღლებას. ამ დროს გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, თვითშეფასების სქემა, რჩევა-დარიგება და ა.შ

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები V-XII კლასებში ფასდება ათ ქულიანი სისტემით. შეფასება იწერება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში. გამონაკლისია შემდეგი საგნები: „სპორტი“ და „საგზაო ნიშნების მოძრაობის უსაფრთხოება, რომლებშიც ქულის მაგივრად იწერება „ჩათვლა“.(მოსწავლის შეფასების კომპონენტები,ე.ს.გ.2018)

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N2

თავი II. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებების აღწერა საბაზო საფეხურზე

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ხუთი მიმართულებით იშლება: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა. პირველ ოთხ მიმართულებას (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) აერთიანებს შიდა სტრუქტურა და მოიცავს ოთხი განსხვავებული ტიპის შედეგს:

ცხრილი N 1.5

შედეგი	განმარტება
კომუნიკაციური	ტექსტების შინაარსის გაგება-გაანალიზება (კითხვასა და მოსმენაში); ტექსტების შინაარსის შექმნა (წერასა და ლაპარაკში);
ენობრივი	ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა (კითხვაში) გამოყენება (წერასა და ლაპარაკში);
სტრატეგიული	მოსმენის, კითხვის, ლაპარაკის, წერის სტრატეგიების დაუფლება
ინტერკულტურული	ტექსტების გაანალიზება ინტერკულტურული თვალსაზრისით (კითხვაში).


(ქ.მ სტანდარტი, 2018)

შიდა სტრუქტურის მიზანია, გამოკვეთოს ენის სწავლა-სწავლების განვითარების-თვის საჭირო ყველა უნარი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია ენობრივ- კომუნიკაციური უნარი. იგი მოსწავლეს ნებისმიერი საგნის ათვისების პროცესში სჭირდება. მაგალითად, მან უნდა დაადგინოს, თუ რა სტრუქტურისაა ტექსტი, რა შინაარსის შემცველია, რა ენობრივი მახასიათებლები აქვს მას, რა ტიპის სტრატეგიები უნდა გამოიყენოს მის გასააზრებლად და სხვა. მეტიც, ასეთივე ენობრივ-კომუნიკაციური ამოცანების წინაშე დგას მოსწავლე ნებისმიერ არაენობრივ საგანში. ინტეგრირებული დიდაქტიკა გულისხმობს ენების სწავლისას მიღებული გამოცდილების ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლის მიერ შექმნილი გამოცდილების გადატანის ხელშეწყობას ერთი ენიდან

მეორეში, რაც განამტკიცებს უნარებს, ამდიდრებს გამოცდილებას და ზრდის მოსწავლეთა ქმედობაუნარიანობას. ამ ყველაფრის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა იფიქროს შესწავლილ თუ შესასწავლ ენებს შორის კავშირის დამყარებაზე. მაგალითად, *მოსწავლე მთლიანობაში ეცნობა ტექსტს ინფორმაციების მოძიების მიზნით, ამ ეტაპზე არ ჩერდება უცნობ სიტყვებზე, განსხვავებული სიმბოლოებით აღნიშნავს ტექსტში არსებით საკითხებს, რომლებსაც უნდა მიუბრუნდეს მათი გაღრმავების მიზნით, საკვანძო სიტყვებს და სხვა* (ქ. მ. XII. 11). მოსწავლემ ეს უნარი შეიძლება გამოიყენოს ტექსტის გააზრებისას ნებისმიერ საგანში.

სწორედ ამის ხელშეწყობას ემსახურება ის ინდიკატორები, რომლებიც წარმოდგენილია ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის სტრატეგიულ შედეგებში და მიმართულებაში *სწავლის სწავლა*. მაგალითისთვის მოვიტანოთ რამდენიმე მათგანი:

სქემა N 2.1



§2.1 სწავლების კომპონენტები - VII დონე

სწავლა/სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მოსმენას, ლაპარაკს, კითხვასა და წერას განსხვავებული დიდაქტიკური დატვირთვა აქვს. ჩვენი თემის შინაარსიდან გამომდინარე, განვიხილოთ საშუალო, ანუ საბაზო საფეხურის მახასიათებლები.

მოსმენა

მეშვიდე საფეხურზე მოსწავლეებს ტექსტის უფრო ამომწურავად გაგება და ენობრივი მახასიათებლების შესწავლა/გაანალიზება მოეთხოვებათ. ასევე, მოსწავლეს შეუძლია თანამოსაუბრის დიალოგის/ინტერვიუს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებების მოსმენა და გაგება. შეუძლია ამოიცნოს ძირითადი ენობრივი მახასიათებლები. მაგალითად, ინტონაციის საშუალებით ერთმანეთისაგან განარჩევს შეკითხვას და თხოვნას, ტჩევას და ბრძანებას.(ქ.მ.VII.1-2-3).

მოსმენის სტრატეგია

იმისათვის, რომ მოსწავლემ შინაარსის გაგება გაიადვილოს, შეუძლია მოსმენის სხვადასხვა სტრატეგიები გამოიყენოს. მაგალითად, უცხო ტექსტში თავდაპირველად ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, ინტონაცია, ილუსტრაცია, რაც დაეხმარება შინაარსის გაგებაში. შემდეგ ჩაინიშნოს უცხო სიტყვები მათი მნიშვნელობის გასარკვევად. სათაურის და ილუსტრაციების მიხედვით გამოთქვას ტექსტის სავარაუდო შინაარსი. გაუგებრობების შემთხვევაში კი სთხოვოს მოსაუბრეს ნელა და გარკვევით გაიმეოროს ტექსტი. რაც მთავარია, ქართულ ენაზე უყუროს მისთვის საინტერესო ტელეგადაცემებსა და ფილმებს. (ქ.მ.VII.4)

კითხვა

ამ ეტაპზე მოსწავლეს უკვე შეუძლია სასწავლო მიზნებს მორგებული არამხატვრული ტექსტის გაგება. მისთვის, ასევე, არ წარმოადგენს პრობლემას საინფორმაციო - შემეცნებითი ტექსტის, კორესპონდენციის, ბიოგრაფიული და პრაგმატული ხასიათის ტექსტების წაკითხვა და გაგება.(ქ.მ.VII.5.)

ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სტანდარტის მიხედვით, მოსწავლეს ასევე შეუძლია ადაპტირებული მხატვრული ტექსტის გაგება და აგაანალიზება. მაგალითად, მოთხრობიდან, იგავ - არაკებიდან ამოიცივოს მოთხრობელს, პერსონაჟებს და შემდეგ ასახელებს კონკრეტულ ინფორმაციებს (ვინ, სად, როდის, რატომ და ა.შ). ბოლოს გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს და ამოიცივოს მის ძირითად თემას. (ქ.მ.VII.6.)


ასევე, მოსწავლეს შეუძლია არამხატვრული და მხატვრული ტექსტების სტრუქტურული და ენობრივი მიმართულებების ამოცივობა და მხატვრული ტექსტის ხმამაღლა კითვა. (ქ.მ.VII.7-8.)

წერა

რაც შეეხება წერას, ამ ეტაპზე მოსწავლეს შეუძლია როგორც პრაგმატული ხასიათის ტექსტების (რეკლამების, აფიშის, ტელეგადაცემის, ანონსის), ასევე პირადი წერილებისა და ღია ბარათების წერა. (ქ.მ.VII.11-12.)

შეუძლია თხრობითი ხასიათის ტექსტების წერა. ასეთი ტექსტების წერისას ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებს და კონკრეტული ადამიანებისადმი/მოვლენებისადმი გამოხატავს განცდებსა და გრძნობებს. (ქ.მ.VII.13)

ამ პერიოდში მას გამომუშავებული აქვს საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენების უნარი და შეუძლია წერის სათანადო სტრატეგიების გამოყენება. (ქ.მ.VII.15-16.)



ამ ეტაპზე მოსწავლე აკეთებს სხვადასხვა პროექტს. მაგალითად, აწყობს გამოფენას, ქმნის ვებგვერდს და ა.შ. ამისთვის კი იყენებს შემდეგ სტრატეგიებს:

პირველ რიგში, აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების სხვადასხვა კრიტერიუმს. შემდეგ, გუნდის წევრებთან ერთად, გეგმავს განსახორციელებელ ეტაპებს. მათთან გადის რეპეტიციებს, აკეთებს პრეზენტაციის სიმულირებას და კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინებით შეაქვს შესწორებები და აუმჯობესებს პროექტს. (ქ.მ.VII.22.)

ასევე, ამ ეტაპზე მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის დახმარებით განჭვრიტოს შესასრულებელი დავალების მოთხოვნები, სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გამოიყენოს სათანადო რესურსები და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად მიმართოს სხვადასხვა ხერხს.(ქ.მ.VII.23-25-26.). მაგალითად, სისტემატურად იმეოროს განვლილი მასალა, ცალკე ამოიწეროს რთულად ასათვისებელი ლექსიკური ერთეულები და დამახსოვრების მიზნით რამდენჯერმე გადაიწეროს, ხმამაღლა წაიკითხოს, ერთად დააჯგუფოს ერთი ჯგუფის სიტყვები, ანტონიმური და სინონიმური წყვილები(ქ.მ.VII.26)

§2.2 სწავლების კომპონენტები - VIII დონე

მოსმენა

ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის VIII დონის მოსწავლეებს უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ სწავლების კომპონენტების მიმართ. კერძოდ, შეუძლიათ სხვადასხვა სახის რეპორტაჟის და ინტერვიუს მოსმენა/გაგება. განსაზღვრავს მათ მიზანს, თემას და იგებს შინაარსს. ამასთანავე, განარჩევს მთავარ და არამთავარ საკითხებს და ამოკრებს ძირითად ინფორმაციებს. ამოიცნობს მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირებს და გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე. (ქ.მ VIII.1)

არაქართულენოვან მოსწავლეებს მერვე დონეზე, ასევე, შეუძლიათ საინფორმაციო გადაცემების მოსმენა და გაგება, თანამოსაუბრეთა შორის ყოველდღიურ თემებზე ინტერაქციის მოსმენა და გაგება. მაგალითად, სად, ვისთან ერთად, როდის, რა თემაზე მიმდინარეობს ინტერაქცია.(ქ.მ VIII.2-3)

მოსმენის სტრატეგია- იმისათვის, რომ მოსასმენი ინფორმაცია სწრაფად გასაგები და აღსაქმელი გახდეს, შემუშავებული აქვს სხვადასხვა სტრატეგია. ისევე, როგორც მეშვიდე დონეზე, აქაც იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (ინტონაცია, ხმის მოდულაცია-ტემპი, სიმაღლე, ხმის ტემბრი). სათაურისა და ილუსტრაციების დახმარებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით, ინიშნავს უცხო სიტყვებს შემდეგში მათი მნიშვნელობების გასარკვევად, შინაარსის გასაგებად ეყრდნობა ნაცნობ სიტყვებს და მეტი შედეგის მისაღწევად უყურებს ქართულ ტელეგადაცემებსა და ფილმებს ქართულ ენაზე. (ქ. მ. VIII.5)

<p>მოსწავლეს შეუძლია სასწავლო მიზნით ადაპტირებული სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის გაგება და გაანალიზება.(ქ.მ. VIII.6)</p>		
<p>შეუძლია საგაზეთო პუბლიკაციის მისთვის საინტერესო თემებზე (ქრონიკა, ინტერვიუ...) გაგება.</p>	<p>შეუძლია სხვადასხვა საინფორმაციო - შემეცნებითი ტექსტის (ისტორიის, კულტურის, გეოგრაფიის და სხვა სფეროდან) წაკითხვა და გაგება.</p>	<p>შეუძლია ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტების (ბიოგრაფია, მოგონებები, პორტრეტები) გაგება და გაანალიზება.</p>

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მოსწავლეს, მერვე დონეზე კითხვის მიმართულე-ბით ასევე შეუძლია როგორც არამხატვრული, ასევე მხატვრული და ადაპტირებული ტექსტის გაგება და გაანალიზება.(ქ.მ VIII.7-8-9.)

<p>მოსწავლეს შეუძლია საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება (ქ.მ VIII.10.)</p>		
<p>ა)შეუძლია მიმართოს გაცნობითი კითხვის ტექნიკას ზოგადი შინაარსის გასაცნობად.</p>	<p>ბ)შეუძლია მიმართოს შესწავლითი კითხვის ტექნიკას ტექსტის დამუშავების მიზნით.</p>	<p>გ)შეუძლია მიმართოს ძიებითი კითხვის ტექნიკას ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად.</p>

წერა

წერის მიმართულებით მოსწავლე, მერვე დონეზე, წერს ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტებს. ბიოგრაფიული ცნობარის, ბიოგრაფიის წერისას უთითებს დაბადების თარიღსა და ადგილს, თანმიმდევრულად გადმოსცემს მისი ცხოვრების მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ დეტალებს. ასევე, პორტრეტის შექმნისას დაწვრილებით აღწერს მის გარეგნობას, ხასიათს, თვისებებს, სურვილებს. მიუთითებს მის საქმიანობაზე (ქ.მ.VIII.13.).

ამ ეტაპზე, მოსწავლეს, ასევე, შეუძლია შექმნას საგაზეთო პუბლიკაცია. ამისათვის, დავდაპირველად გამოკვეთს ინტერვიუს, სტატიის მთავარ თემას, მთავარ და მეორეხარისხოვან საკითხებს. რესპოდენტის ნააზრევის გადმოსაცემად იყენებს ციტირებასა და პარაფრაზირების ხერხებს და ასათაურებს წერილს, ინტერვიუს თუ სტატიას. (ქ.მ.VIII.14).

მას, ასევე, შეუძლია საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება და წერის ეფექტური სტრატეგიების წერის პროცესის ყველა ეტაპზე გამოყენება შედეგის გასაუმჯობესებლად.(ქ.მ.VIII.15-16).

ლაპარაკი

რაც შეეხება ლაპარაკის მიმართულებას, ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სტანდარტის მიხედვით, მერვე დონეზე, ისიც საკმაოდ გაუმჯობესებულია. კერძოდ კი:

მოსწავლეს უკვე თამამად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მარტივ საკლასო დისკუსიებში. აქედან გამომდინარე, მოსწავლე სვამს კონკრეტულ საკითხს, ისმენს სხვის აზრს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტავს საკუთარ პოზიციას. გარდა ამისა, მოჰყავს შესაბამისი მაგალითები პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან და საბოლოოდ აფასებს მოვლენებსა და ფაქტებს. (ქ.მ.VIII.18.)

ასევე, თავისუფლად საუბრობს მისთვის საინტერესო თუ სასურველ თემებზე და ფუნქციურად იყენებს საბაზო ენობრივ უნარ - ჩვევებს. იყენებს სათანადო სტრატეგიებს

სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად. (ქ.მ.VIII.19-20-21.)

სწავლის სწავლა

რაც შეეხება მიმართულებას - სწავლის სწავლა, ამ ეტაპზე მოსწავლისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს პროექტის განხორციელების ხელშესაწყობის მიზნით შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

მასწავლებელთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს; განსაზღვრავს ფუნქციებს და ინაწილებს გუნდის წევრებთან ერთად, ინფორმაციის მოძიების და დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე სხვებს უწევს კონსულტაციებს გამოყენებულ სტრატეგიებთან დაკავშირებით, პროექტის წარდგენის ფორმის შერჩევის შემდეგ ახორციელებს პროექტს და პრეზენტაციის სიმულირებისას მიღებულ შენიშვნებს ითვალისწინებს და აუმჯობესებს პროექტს. (ქ.მ.VIII.22)

მოსწავლეს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად გამომუშავებული აქვს სტრატეგიული უნარები.(ქ.მ.VIII.24.)

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ✓ სამუშაოს დაწყებამდე ახდენს ცოდნის მობილიზებას;
- ✓ მონაწილეობს აზრთა გაცვლაში იმის შესახებ, თუ როგორ მიდგომებს გამოიყენებენ ამა თუ იმ ეტაპზე კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დახმარებას, კონსულტაციას;
- ✓ სამუშაოს დასრულების შემდეგ წარმოადგენს გამოყენებულ სტრატეგიებს, ადარებს სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს;
- ✓ მონაწილეობს გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებაში;
- ✓ თანხმდება განსხვავებული სტრატეგიების მოსინჯვა-გამოყენებაზე;
- ✓ ადარებს სხვადასხვა ენის, მათ შორის მშობლიურის შესწავლისას მიღებულ გამოცდილებას ერთმანეთთან; განსაზღვრავს, თუ რამდენად გამოადგება ესა თუ ის სტრატეგია სხვა ენის ან სხვა საგნის სწავლების პროცესში;
- ✓ აანალიზებს შეცდომების, ხარვეზების მიზეზებს;

- ✓ მონაწილეობს თვითშეფასებასა და თანაშეფასებაში (მოსწავლე - მასწავლებელი ან მოსწავლე - მოსწავლე ერთსა და იმავე ნაშრომს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასწორებენ);
- ✓ შედეგებზე დაკვირვებით აღნიშნავს, სად აქვს წინსვლა;
- ✓ აანალიზებს წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზებს შემდგომში მათი გათვალისწინების მიზნით;
- ✓ ასახელებს წარუმატებლობის ფაქტორებს, მიზეზებს (მაგ. სათანადოდ არ გამოიყენა რესურსი , ვერ გამოკვეთა აქტივობის მთავარი ამოცანა , გამოტოვა ერთი ეტაპი , ამოცანა დაუძლეველი მოეჩვენა , იყო უგუნებოდ და სხვა);
- ✓ ამჩნევს და ასახელებს საკუთარ ხარვეზებს; • ადგენს, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად; • საკუთარი ინიციატივით მიმართავს გამოსასწორებელ ზომებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მოსწავლეს ასევე შეუძლია როგორც სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი რესურსების გამოყენება, ასევე შედეგების გაუმჯობესების მიზნით თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა (ქ.მ.VIII.25-26.).

§2.3 სწავლების კომპონენტები - IX დონე

ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სტანდარტის მიხედვით, მეცხრე დონეზე წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები ასე გამოიყურება(იხ. ცხრილი N 2.6)

ცხრილი N 2.6

მოსმენა	კითხვა	წერა	ლაპარაკი	სწავლის სწავლა
➤ მოსწავლეს შეუძლია აქტუალურ და მისთვის საინტერესო საკითხზე / თემაზე არსებული	➤ მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის (სხვადასხვა სახის საგაზეთო პუბლიკაცია; სხვადასხვა თემაზე შექმნილი	➤ მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის საქმიანი წერილის წერა. (ქ.მ.IX.12.) ➤ მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სათანადო	➤ მოსწავლეს შეუძლია წინასწარ მოემზადოს და მონაწილეობა მიიღოს საკლასო დისკუსიებში ისეთი კონკრეტული საკითხის/პრობლემის გარშემო, რომელსაც	➤ მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის დახმარებით განჭვრიტოს შესასრულებელი დავალების

<p>დისკუსიის მოსმენა და გაგება.(ქ.მ. IX.1.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ თემაზე (ტელე-რადიოს საინფორმაციო / შემეცნებითი გადაცემა, ინტერვიუ და სხვა) სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტის გაგება.(ქ.მ. IX.2)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს ძირითადი ენობრივი მახასიათებლები.(ქ.მ. IX.3.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია მოსმენის სტრატეგიების გამოყენება.(ქ.მ. IX.4.)</p>	<p>➤ შემეცნებითი ტექსტი გაგება. (ქ.მ. IX.5)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია არამხატვრული ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით გაანალიზება. (ქ.მ. IX. 6.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მხატვრული ტექსტის გაგება.(ქ.მ. IX.7.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.(ქ.მ. IX. 8.)</p> <p>➤ მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის ტექნიკა.(ქ.მ. IX.9.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით კითხვის სტრატეგიების გამოყენება. (ქ.მ. IX.10.)</p>	<p>სტრუქტურის შექმნა, აგრეთვე საბაზო ენობრივ-გრამატიკული უნარ-ჩვევების გამოყენება.(ქ.მ. IX.13.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია ისეთი მხატვრული ტექსტის შექმნა, სადაც გამოავლენს პიროვნულ და შემოქმედებით დამოკიდებულებას. (ქ.მ. IX.14.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე ფუნქციურად გამოიყენოს საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევები. (ქ.მ. IX.15.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია წერის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება წერის პროცესის ყველა ეტაპზე შედეგის გასაუმჯობესებლად. (ქ.მ. IX.16.)</p>	<p>➤ საკითხავ ტექსტებში გაეცნოს. (ქ.მ. IX.17.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე ისაუბროს მისთვის ნაცნობ პრობლემაზე (ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან, უფროს თაობასთან და სხვა).(ქ.მ. IX.18.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას.(ქ.მ. IX.19.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება.(ქ.მ. IX.20.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.(ქ.მ. IX.21.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია პროექტის (მაგ., ბუნებრივი კატაკლიზმები - მიწისძვრა, წყალდიდობა; ჯანმრთელი კვება; მავნე ჩვევები და სხვა) განხორციელების ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.(ქ.მ. IX. 22.)</p>	<p>➤ მოთხოვნები.(ქ.მ. IX.23.)</p> <p>➤ მოსწავლეს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად გამომუშავებული აქვს სტრატეგიული უნარები.(ქ.მ. IX. 24.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სათანადო რესურსების გამოყენება.(ქ.მ. IX.25.)</p> <p>➤ მოსწავლეს შეუძლია შედეგების გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლოს თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მეწყვილესთან. (ქ.მ. IX.26.)</p>
---	---	---	--	--

ლაპარაკი – მეორე ეტაპზე პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლის ალაპარაკება. უფრო მრავალფეროვანი ხდება საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც იგი მონაწილეობს როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი. იწყებს ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას, როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს. მოსწავლეები საუბრობენ მათთვის საინტერესო და სასურველ თემებზე/ნაცნობ პრობლემებზე პირად ან სხვის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

კითხვა – სწავლების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია წაკითხულის გაგების უნარის გაღრმავება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ სასწავლო მიზნით ადაპტირებული სხვადასხვა ფუნქციური სტილის (როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული) ტექსტების გაგება და გაანალიზება, როგორც შინაარსის, ისე მათი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

ყურადღება ექცევა ხმამაღალი კითხვის ტექნიკის დაუფლებას.

მოსწავლეებს, საკითხავი ამოცანების გადაჭრის ხელშესაწყობად, მოეთხოვებათ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის (გაცნობითი, შესწავლითი და ძიებითი კითხვის ტექნიკა) გამოყენება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვის მიმართულებაში ცალკე შედეგად გადის ე.წ. კულტურათა დიალოგი. მოსწავლეები, არამარტო იჩენენ ინტერესს, არამედ ანალიზებენ ტექსტს ინტერკულტურული თვალსაზრისითაც.

წერა – ამ ეტაპზე სწავლება თანდათან გადადის რეპროდუცირებიდან პროდუცირებაზე. მოსწავლეები სწავლობენ პრაგმატული ხასიათის ინფორმაციული ტექსტების (ბუკლეტი, აფიშა, ინსტრუქციები, გზამკვლევი და სხვა) წერას; ქმნიან ტექსტებს, რომლებშიც ავლენენ პიროვნულ და შემოქმედებით დამოკიდებულებას; წერენ გამომხაურებას აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე, სხვადასხვა ტიპის საქმიან წერილს (მაგ., ე.წ. CV, სამოტივაციო წერილი, ახსნა-განმარტებითი წერილი და სხვა)(ქ.მ.2018,საბაზო საფეხურის სტანდარტი.)

თავი III . სახელმძღვანელოები

არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, 2005 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეადგინა ახალი სახელმძღვანელო ქართულის, როგორც მეორე ენისათვის, სახელწოდებით თავთავი. იუნესკო, საქართველოს ანგარიშში მულტილინგვალიზმისა და კიბერსივრცის გამოყენების შესახებ წერია, რომ საქართველოს 2006 წლიდან თავთავის სერიის სახელმძღვანელოები მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებოდა. ორი დამატებითი დონის სახელმძღვანელოც გამოიცა 2009 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ თავთავი ქართულის, როგორც მეორე ენის პირველი სახელმძღვანელო იყო. საქართველოში ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის წარმომადგენელმა და ჯავახეთის ენის სახლების მასწავლებლებმა, სადაც საჯარო მოხელეებსა და აბიტურიენტებს ასწავლიდნენ ქართულს, არაერთხელ ისაუბრეს თავთავის გამოცემის წარმატებაზე. გარდა ამისა, 2007-2009 წლებში სამინისტრომ ახალქალაქის რაიონის სკოლები თავთავის 10,000 ეგზემპლარით უზრუნველყო, რაც სრულიად შეესაბამებოდა სკოლის მოსწავლეთა რაოდენობას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, თავთავის სერია ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს შეესაბამებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელო გააკრიტიკეს სწავლების ერთენოვანი მიდგომის გამო, რადგან ეს მიდგომა ეწინააღმდეგებოდა მრავალენოვან მეთოდს.

სწორედ ამიტომ, მოგვიანებით, თავთავი ჩაანაცვლა ახალმა სახელმძღვანელომ. 2012 წლის 2 ოქტომბერს, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით, გრიფი მიენიჭა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეთათვის განკუთვნილი საგნის - „ქართული, როგორც მეორე ენის“ I-IX დონეების სასკოლო სახელმძღვანელოებს. მოგვიანებით კი X-XII დონეებს. აღნიშნულ სახელმძღვანელოებს თან ახლავს მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის რვეული და აუდიო დისკი. თუმცა, ამ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მალევე წამოიჭრა პრობლემური საკითხები. ბოლო რამდენიმე წელია, ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ აღარ

გააჩნიათ დაწყები საფეხურის სახელმძღვანელოების რესურსი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აფერხებს ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესს. პედაგოგების თქმით, მართალია, სკოლებში მაღალი დონეების (VII-XII) სახელმძღვანელოები არის, მაგრამ მათ არავინ იყენებს, რადგან ეს სახელმძღვანელოები ენობრივი კომპეტენციების უფრო მაღალი დონისთვისაა განკუთვნილი. დაწყებითი (I-VI) დონის დაძლევის გარეშე კი მაღალი დონეების სახელმძღვანელოების გამოყენებას აზრი არ აქვს.

ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო თორმეტი დონისგან შედგება. საგნის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოების გრიფირება სტანდარტული წესით, როგორც ეს ხდებოდა სხვა სახელმძღვანელოების შემთხვევაში, არ გაუვლია. ანუ, მასწავლებლებს შესთავაზეს სამინისტროს მიერ შექმნილი ერთადერთი სახელმძღვანელო. თუმცა, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების მარაგი უკვე 5 წელია ამოიწურა და ბევრი პედაგოგი მათ გარეშე მუშაობს.

როგორც ცნობილია, ამ პრობლემის შესახებ ინფორმირებულია, როგორც ადგილობრივი რესურსცენტრი, ასევე სამინისტრო, თუმცა წიგნები დღემდე არ აქვს სკოლებს. სახელმძღვანელოების არქონის პირობებში მასწავლებლები სასწავლო რესურსებს თავად ამზადებენ და ერთმანეთს უზიარებენ, ასევე იყენებენ დამხმარე ლიტერატურას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთის მე-2 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი, ქეთევან პეტრიაშვილი უკვე მე-9 წელია ამ სფეროში მუშაობს. მისი თქმით, სასწავლო რესურსებს თავად ქმნის. სწავლებისას, სახელმძღვანელოების გარდა, იყენებს დამხმარე ლიტერატურას. მათ შორის, სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ ილუსტრირებულ წიგნებს, რომლებიც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ არის მომზადებული. ასევე - საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ UG-prIED-ის მიერ შექმნილ რესურსებს.

პრობლემად რჩება ძველი სახელმძღვანელოები და, განსაკუთრებით, რვეულები, რომლებიც წლების განმავლობაში მრავალჯერადი გამოყენებისა და შესრულებული დავალებების არაერთხელ წაშლის შემდეგ სასწავლო რესურსად აღარ გამოდგება.

მართალია, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას ერთადერთი რესურსი სახელმძღვანელო არ არის, მაგრამ აქვე იკვეთება კვალიფიციური პედაგოგების საკითხი. რამდენად მზად არიან ისინი დამატებითი რესურსები მოიძიონ სახელმძღვანელოს არქონის პირობებში ან თავად შექმნან ახალი სასწავლო რესურსები ბავშვებისთვის?!

ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2012 წელს დაბეჭდა. როგორც ცენტრში განმარტავენ, სკოლების თხოვნით, იმავე შინაარსის სახელმძღვანელოების დამატებითი რაოდენობა 2013 წელს კვლავ დაიბეჭდა. მას შემდეგ სახელმძღვანელოები აღარ დაუბეჭდავთ.

სამინისტროში აცხადებენ, რომ 2018 წელს გრიფირება ვერ გაიარა ვერცერთმა სახელმძღვანელომ, რის გამოც ჯერჯერობით სწავლება ისევ მოქმედი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. მათივე თქმით, წელს კვლავ გამოცხადებულია კონკურსი „ქართულის, როგორც მეორე ენის“ სახელმძღვანელოებზე. გეგმის მიხედვით, სახელმძღვანელოები მიმდინარე წლის ზაფხულამდე უნდა შეფასებულიყო.

თავი IV. მასწავლებლები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას ეროვნულ უმცირესობებში განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ 2003 წლიდან მიექცა. 2004-2006 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ქვემო ქართლში 27 და სამცხე-ჯავახეთში 13 ქართული ენის მასწავლებელი მიავლინა, რომელთაც მიიღეს მაღალი ანაზღაურება „მომავალი იწყება დღეს“ პროგრამის ფარგლებში. ეს პედაგოგები ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას და ისტორიას, ასევე, ადგილობრივ მასწავლებლებს უტარებდნენ ტრენინგს. 2008 წელს გამართულ ბრიფინგზე ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი, ნინო ბოლქვაძე აცხადებდა, რომ ამ ყველაფრის შედეგად, ადგილობრივ მასწავლებლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ სწავლების ახალ მეთოდებს. ეს ამ ინიციატივის მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა, რადგან უმცირესობებით დასახლებული რეგიონების პედაგოგთა დაახლოებით 90%-ს სწავლების ახალ მეთოდებში გადამზადება არ გაუვლია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ოთხ ეტაპად განხორციელდა და თითოეული სესია მოიცავდა შვიდდღიან ტრენინგს (დღეში ექვსი საათი). მასწავლებელთა აზრით, აღნიშნული ინტენსიური პროგრამა ძალიან სასარგებლო იყო და მათი ქართული ენის ცოდნის დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა, ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის (ეუუკ) მიერ ქვემო ქართლში განხორციელებული პროგრამის შეფასების ანგარიშის თანახმად, 420 მასწავლებლიდან სულ ცოტა 60-70 საერთოდ არ ფლობდა ქართულ ენას, მეტწილად ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები. რის გამოც პედაგოგთა ნაწილმა ზემოაღნიშნულ გადამზადების პროგრამაში მოანაწილეობის მიღება ვერ შეძლო. ეს გარემოება მთავრობის მიერ გათვალისწინებული არ იყო. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ეს ძალისხმევა არ აღმოჩნდა საკმარისი ქართული ენის სწავლების ხარისხის სათანადოდ გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა უდავოდ გაიღრმავეს ქართული ენის ცოდნა, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ ახალქალაქის რაიონში გამოკითხული მასწავლებლები უკეთეს შემთხვევაში საშუალო დონეზე ფლობდნენ ქართულს. ზემოაღნიშნულ პრობლემებს ემატებოდა სხვა პრობლემებიც. როგორც ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან 2008 წლის შეხვედრაზე განაცხადეს, ძალიან დიდი იყო რეგიონების მასწავლებელთა სკეპტიციზმი მსგავსი პროგრამების მიმართ. საქართველოს ქალაქებიდან რაიონების სკოლებში სასწავლებლად ჩასულ პედაგოგებს ადგილობრივი მოსახლეობა „მისიონერებს“ უწოდებდა, რაც მიუთითებდა ჩამოსული მასწავლებლებისადმი მათ დამოკიდებულებაზე. უფრო მეტიც, ადგილობრივი პედაგოგები უარყოფიდან იყვნენ განწყობილნი სწავლების ახალი მეთოდებისა და ენის შესწავლისადმი. გარდა ამისა, ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი წარმომადგენლის თანახმად, ზოგიერთი მასწავლებელი იმედს იტოვებდა, რომ მომავალ წლებში დაგეგმილი მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას ქრთამის მეშვეობით შეძლებდა. მსგავსი დამოკიდებულება საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობად შეიძლება ჩაითვალოს და განათლების სისტემის იმ ერთ-ერთელემენტს წარმოადგენს, რომლის აღმოფხვრასაც ემსახურებოდა მიმდინარე რეფორმები. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ირინა ქურდაძემ 2009 წელს გუდაურში გამართულ კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ განაცხადა, 2007 წლის დასაწყისში ზემოთხსენებული 40 მასწავლებელი ადგილობრივმა კადრებმა ჩაანაცვლა, რომელთაც წინასწარ გაიარეს გადამზადება. 2007 წელს ქვემო ქართლის 94 აზერბაიჯანულენოვანი სკოლის პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი ეუუკისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში“ ფარგლებში. გარდა ამისა, იმავე წელს გადამზადებულ იქნა არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის 250 მასწავლებელი „არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა გადამზადების“ პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნულ ძალისხმევათა მიუხედავად, რეგიონების მასწავლებელთა შორის ქართული ენის ცოდნის ხარისხი საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა. კერძოდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ 2009 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გამოკითხულ მასწავლებელთა 30% სასაუბრო დონეზეც კი არ ფლობდა ქართულ ენას. ეს პრობლემა ძირითადად განპირობებული იყო გადამზადების პროგრამების სიმცირითა და მათი მოკლე ხანგრძლივობით. ასევე იმ გარემოებით, რომ ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობას ქართული ენის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდა. შესაბამისად, ამ პროცესში ჩართული ყველა მხარე აღიარებდა მასწავლებელთა გადამზადების დამატებითი პროგრამების აუცილებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ირინა ქურდაძემ 2009 წელს გუდაურში გამართულ კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ ასევე განაცხადა, რომ 2009 წელს განახლდა მასწავლებელთა ტრენინგები „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ პროგრამას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ერთობლივად ახორციელებდნენ, რისთვისაც 326,689 ლარი იყო გამოყოფილი. ამ ინიციატივის ფარგლებში ცენტრმა შერჩეული ქართული ენის მასწავლებლები ერთი წლის ვადით დაასაქმა, რათა მათ ესწავლებინათ ქართული ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სკოლებში. აღსანიშნავია, რომ ეს კონკურსი ღია იყო ქართული ენის ყველა პედაგოგისათვის, თუმცა წარმატებულ კანდიდატებს შესაბამისი უმცირესობის ენა უნდა სცოდნოდათ. გარდა ამისა, უპირატესობა მიენიჭა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მასწავლებლებს. კერძოდ, შერჩეულ პედაგოგთა უმრავლესობა ფლობდა აზერბაიჯანულ ენას. ასევე, აღნიშნულ მასწავლებლებს ტრენინგი ჩაუტარდათ წინასწარ შერჩეული ათი ტრენერის მიერ „ვისწავლოთ და ვასწავლოთ ქართული“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რისთვისაც დამატებით 100,000 ლარი იქნა გამოყოფილი.

მასწავლებელთა ეროვნული ცენტრის განცხადებით, შერჩეული მასწავლებლები როგორც ქართულის, ასევე სხვა საგნების პედაგოგებსაც ასწავლიდნენ ქართულს. გარდა აღნიშნული ინიციატივისა მასწავლებლების გადამზადება ხორციელდებოდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებისა და ეუუკ-ის მიერ დაფინანსებული ინიციატივების ფარგლებში.

§4.1 პროგრამა- ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის

2011 წელს, პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროექტის "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში, შერჩეულ მონაწილეებს ქ. ქუთაისში, ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ინტენსიური ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: სწავლისა და განვითარების თანამედროვე მეთოდები, კულტურული მრავალფეროვნება და თანაცხოვრება და ბილინგვური სწავლება.

2011 წლის სექტემბერში პროგრამის მონაწილეები სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში გაემგზავრნენ, არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეებისთვის ქართული ენის და დამატებით, სხვა სასკოლო საგნების შესასწავლად. მასწავლებლები რეგიონში ერთი აკადემიური წლის მანძილზე რჩებოდნენ და ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრობდნენ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის, კოკა სეფერთელაძის განცხადებით, სამინისტრო ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისათვის არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებდა, მათ შორის იყო პროექტი "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", რომელიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის შესწავლაში ეხმარებოდა.

როგორც კოკა სეფერთელაძემ განაცხადა, პროექტის ფარგლებში, კონკურსის წესით, პირველ ეტაპზე, 186 კანდიდატი შეირჩა. პროგრამაში ჩართვა შეეძლო საქართველოს მოქალაქეს, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენაა და ფლობდა ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამის მონაწილე ბაკალავრებს, ერთი აკადემიური წლის მუშაობის სტაჟის

საფუძველზე, მაგისტრატურას სრულად უფინანსებდა. აგრეთვე, მონაწილეებს, რომლებსაც მასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდებში მონაწილეობის მიღება და პედაგოგიური პრაქტიკის გაგრძელება სურდათ, პროგრამის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთწლიან სამუშაო სტაჟში უთვლიდა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელთა სერტიფიცირება 2013 წლიდან დაიწყო. ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2014 წლიდან 2017 წლამდე ქართულის, როგორც მეორე ენის გამოცდაზე სულ 1161 პედაგოგი გავიდა. მათგან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 609 პედაგოგმა გადალახა, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 52% იყო.

სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის იგეგმებოდა და ხორციელდება მრავალი ტრენინგი, თუმცა, ეს ტრენინგები არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ სიახლეს ყველა მასწავლებლამდე მიეღწია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მწირი შესაძლებლობები, სახელმწიფო ენის არცოდნა, პედაგოგთა ხანდაზმულობა, სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მასწავლებელთა დეფიციტი, - უკვე წლებია, არაქართულენოვანი სკოლები ამ პრობლემების წინაშე დგანან.

სწორედ ამ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ 2015 წელს მომზადებულ პოლიტიკის დოკუმენტში. დოკუმენტი შეეხება ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ასაკოვანი მასწავლებლები ზოგადად, ქართული სკოლებისთვის პრობლემური საკითხია, მაგრამ, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემი არაქართულენოვანი სკოლების შემთხვევაშია. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: - არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკი ზოგიერთ რეგიონში ქვეყანაში არსებულ საშუალო მონაცემებზე გაცილებით მაღალია; მასწავლებლებს პრობლემა აქვთ სახელმწიფო ენის არცოდნის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს არაქართულენოვანი სკოლების საქართველოს

საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე, რადგან, ენის შესასწავლად ასაკი ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა. როგორც დოკუმენტის ავტორები განმარტავენ, არაქართულენოვან სკოლებში ორენოვანი განათლების პროგრამები რეფორმის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რასაც ენობრივად და მეთოდოლოგიურად მომზადებული მასწავლებლები სჭირდება. საპენსიო ასაკში კი პედაგოგებს, უმეტეს შემთხვევაში, მსგავს ძირეულ რეფორმებში ჩართვის სურვილი ნაკლებად აქვთ. უფრო კონკრეტულად კი, 2015 წლისთვის ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა 50,4% 51 წელს ზემოთ იყო, მაშინ, როდესაც 35 წლამდე მასწავლებელთა რაოდენობა საერთო რაოდენობის მხოლოდ 22,8% შეადგენდა. (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. პოლიტიკის დოკუმენტი, 2015)

2016 წლიდან სახელმწიფო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების განვითარების პროგრამას ახორციელებს. აღნიშნული პროგრამა მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამების, - „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (2009-2015 წწ) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (2011-2015 წწ).

ახალი პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვრა ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის კურსის შეთავაზება, რომელზეც აქტიური მუშაობა 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო. პროგრამის მიზანი იყო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ენის კურსს პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლები უძღვებოდნენ. ქართული ენის შემსწავლელი კურსები შეთავაზებული იყო ადგილობრივი მასწავლებლების ორი ნაკადისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის განცხადებით, პირველი ეტაპზე ენის კურსში ჩართული იყო 738 მასწავლებელი. საბოლოო შეფასების ეტაპისთვის A1 დონის შემსწავლელ კურსში ჩართული იყო 221 მასწავლებელი, A2 დონის შემსწავლელ კურსში კი - 398 მასწავლებელი. მათგან A1 დონე წარმატებით გაიარა - 135, A2 დონე - 232.

მეორე ეტაპზე (2016 წლის ოქტომბრიდან-დღემდე) ენის კურსში ჩაერთო 514 მსმენელი, მათ შორის A1 დონის შემსწავლელი 76 მსმენელი, A2 დონის - 290 და B1 დონის - 148. (მასწავლებლის სახლი)

„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ პროგრამის მენეჯერის, თამარ კეკელიძის განცხადებით, 2017 წლის თებერვლიდან პროგრამის “არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ ფარგლებში სამიზნე სკოლების/სექტორების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის, რომლებმაც დაადასტურეს ქართული ენის ფლობა A2+დონეზე ენის კურსის დასრულების შემდეგ მასწავლებლებმა, ქართულ ენაზე, პროფესიული უნარების ტრენინგიც გაიარეს. აღნიშნული ტრენინგისთვის ცენტრმა ორენოვანი ფასილიტატორები მოამზადა, რომლებიც ქართულენოვან ტრენერებს არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან ურთიერთობისას ეხმარებოდნენ. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის საგნობრივ ტრენინგებს მათ მშობლიურ ენაზე.

„წლების განმავლობაში არაქართულენოვან სკოლებში ვგზავნიდით მოხალისე ან კვალიფიციურ კონსულტანტ მასწავლებლებს. მათი მუშაობისას ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე იყო, არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ თავად პედაგოგებშიც. სწორედ ამიტომ, ამ პროგრამით აქცენტი მასწავლებლების სათანადო მომზადებაზე კეთდება. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში საკადრო დეფიციტის შევსებაზეც ვზრუნავთ. დღეისათვის არაქართულენოვან სკოლებში გაგზავნილი გვყავს ქართულის, როგორც მეორე ენის 114 კონსულტანტ-მასწავლებელი და 162 დამხმარე მასწავლებელი. მათ შორის 28 ბილინგვი დამხმარე მასწავლებელია, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან. ეს ორენოვანი დამხმარე მასწავლებლები არიან ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვინდა, რომ გამოვზარდოთ კვალიფიციურ კადრებად, რათა მომავალში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ტრენერი მასწავლებლების დეფიციტი აღარ იყოს“ [თამარ კეკელიძე, 2016]

მასწავლებლის სახლის 2017 წლის მონაცემებით, არაქართულენოვან სკოლებში დაახლოებით 6 000-მდე მასწავლებელია, თამარ კეკელიძის თქმით, პროგრამის პირველ და მეორე ნაკადში მათგან დაახლოებით 15%-მა გამოთქვა ქართული ენის შესწავლის სურვილი. პროგრამის ბიუჯეტი 3 მილიონი ლარია.(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,2017)

§4.2 არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის შევსება

არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემების ნაწილობრივ მოგვარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) არაქართულენოვან სკოლებში 2016-2017 სასწავლო წელს მივლენილი იყო მასწავლებელთა 3 ჯგუფი:

- ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებლები (114);
- ქართულის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების (ისტორია და გეოგრაფია) დამხმარე მასწავლებლები (136);
- ბილინგვი დამხმარე მასწავლებლები, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან და, ერთენოვანი დამხმარე მასწავლებლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ სასკოლო საგანში (28). (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,2017)

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, დღესდღეობით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) 289 არაქართულენოვან სკოლაში სულ „ქართული, როგორც მეორე ენას“ 1199 მასწავლებელი ასწავლის. აქედან:

- ქართულის, როგორც მეორე ენის 105 კონსულტანტ-მასწავლებელი;

➤ ქართულის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების (ისტორია და გეოგრაფია) დამხმარე 135 მასწავლებელი.

➤ 14 ბილინგვი დამხმარე მასწავლებელი, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან და ერთენოვანი დამხმარე მასწავლებლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ სასკოლო საგანში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ თითქმის ორი ათეული წელია არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ეროვნულ უმცირესობებში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რამაც შესაძლებელია შეაფერხოს მათი სრულფასოვანი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვფიქრობთ, ენის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ დღემდე ამ მიმართულებით არ გვყავს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური კადრი. რეგიონებში, განსაკუთრებით კი შორეულ სოფლებში ქართულ ენას ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც არ არიან კომპეტენტური თავიანთ საგანში. აუცილებელია, უკლებლივ, ყველა მასწავლებელმა, ვინც ქართულს ასწავლის, იცოდეს სახელმწიფო ენა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, სახელმწიფო ენის უცოდინრობის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტორიც, რომ ბევრი მათგანი არის საკენსიო ასაკის, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 60 წელი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მასწავლებლებს დიდი გამოცდილება აქვთ, ხშირად ჯანმრთელობა არ უწყობთ ხელს ხარისხიანი გაკვეთილების ჩასატარებლად. განსაკუთრებით ისინი საჭიროებენ ენის კურსების გავლასა და მეთოდურ გადამზადებას. თუმცა, მათი აზრით, ეს ყველაფერი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ნაკლებად აქტიურობენ პროფესიული წინსვლისთვის. ამ გარემოებას ემატება ის ფაქტიც, რომ სკოლებს გარეთ ძალიან ბევრი ახალგაზრდა მასწავლებლობის მსურველია დარჩენილი. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის მინისტრი ატარებს განათლების

რეფორმას, რომლის ფარგლებში საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე 2019 წელს სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასი. ამასთან, შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ვაკანტური ადგილები შეივსება ახალგაზრდა, ენერგიული და რაც მთავარია სახელმწიფო ენის მცოდნე კადრებით.

იმედი გვაქვს, ეს იქნება ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი განათლების სფეროში. განსაკუთრებით კი ეროვნული უმცირესობების ქართული ენის სწავლების საკითხში.

§4.3. ლინგვისტური ბარიერი

ეთნოსთაშორისი თანამშრომლობისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. ლინგვისტური ბარიერი. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ეთნიკურად ქართულ და არაქართულ მოსახლეობას შორის ურთიერთობებზე. ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი უმცირესობების არასაკმარისი მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის ქართული ენის სრული არცოდნა ან მისი სუსტი ცოდნა, რაც მემკვიდრეობად გვერგო საბჭოთა დროიდან. თუ ახალი თაობებისათვის ქართული ენის შესწავლის პრობლემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დონეზე ასე თუ ისე წყდება, ზრდასრულებთან დაკავშირებით მდგომარეობა გაცილებით რთულია: სახელმწიფო ენის უცოდინრობა ართულებს ურთიერთობებს სახელმწიფო სტრუქტურებთან, ზღუდავს შესაძლებლობებს სამუშაო ბაზარზე, არ იძლევა შესაძლებლობას პიროვნების სრული თვითრეალიზაციისათვის და ხელს უშლის ურთიერთგაგების გაღრმავებას ჩვენს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მოქალაქეებს შორის. (ზ.ხალილოვი,2007)

საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის 2008 წლის შეფასების მიხედვით ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქართული ენის ცოდნა ამგვარად არის გადანაწილებული.(იხ.ცხრილი N 4.7)

ცხრილი N 4.7

ერვნული უმცირესობა	თბილისი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი
სომეხი	96.4%	24,6%	-----
აზერბაიჯანელი	95.6%	-----	16.9%

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის 94%-ს, ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობის 95%-სა და ახალციხის რაიონის 34%-ს შეადგენენ(ECMI-ის სამუშაო მოხსენება №22, 2004) ქვემო ქართლი კი ეთნიკური აზერბაიჯანელების მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა, რომლებიც მარნეულის რაიონის მოსახლეობის 83%-ს, ბოლნისის - 66%-სა და დმანისის რაიონის მოსახლეობის 67%-ს შეადგენენ.(ECMI-ის სამუშაო მოხსენება №23, 2005) ორივე რეგიონისათვის ერთმანეთის მსგავსი პრობლემებია დამახასიათებელი. ესენია: განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, მცირე ეკონომიკური შესაძლებლობები და ეროვნული საინფორმაციო საშუალებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. პირველი ორი ფაქტორი საქართველოს რეგიონების უმრავლესობას ახასიათებს, ხოლო უკანასკნელი კი ძირითადად ქართული ენის ცოდნის დაბალი დონითაა განპირობებული. შესაბამისად, ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ინფორმაციას მეტწილად თავიანთი ეთნიკური წარმოშობის ქვეყნების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისა და რუსეთის ფედერაციის ტელე-არხებიდან იღებენ, რაც მათ ქართული საზოგადოებისაგან კიდევ უფრო აუცხოვებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობა დანარჩენი საზოგადოებისაგან გარკვეულწილად იზოლირებულია, ეს პრობლემა განსაკუთრებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის

რაიონის მცხოვრებლებს აწუხებს, რომელსაც განაპირობებს ენობრივი ბარიერი, ეროვნულ უმცირესობათა მჭიდროდ განსახლება და ძლიერი კავშირები მათი წარმოშობის ქვეყანასთან - სომხეთთან. იმ ტერიტორიებზე, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ფაქტობრივად, არ არსებობს ქართული ოჯახები. ეროვნული უმცირესობები დასახლებულნი არიან ჯგუფ-ჯგუფად, კომლებად და მათ არ აქვთ ურთიერთობა სახელმწიფო ენის წარმომადგენლებთან. ეს ყველაფერი კი, რა საკვირველია, სახელმწიფო ენის არცოდნის და ენობრივი ბარიერის პირველი მიზეზია.

როგორც სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, უმცირესობები მზად არიან შეისწავლონ ქართული ენა სათანადო პირობების შემთხვევაში: თუ ეყოლებათ მასწავლებლები, ექნებათ სახელმძღვანელოები ან თვითმასწავლებლები და ა.შ. ცხადია, რომ საჭიროა, აქტიურად განვახილოთ ქართული ენის შესასწავლი კურსების ქსელი, განსაკუთრებით - უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში.

ჩვენ მოვიძიეთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლე-მასწავლებელთა რამდენიმე ინტერვიუ, რომელთა დახმარებით, ვეცდებით უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ ლინგვისტური ბარიერის არსებობა ეროვნულ უმცირესობებსა და სახელმწიფო ენის მატარებელ საზოგადოებას შორის დღევანდელ საქართველოში.

ქართულის, როგორც მეორე ენის სოფელ ყულარის ერთ-ერთი მასწავლებლის განცხადებით(რომელიც ასევე პროგრამა „არაქართულენოვანი მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერის“ მონაწილეა), ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ბავშვებს, ქართულ ენაზე საუბარი მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე უწევთ. *„ამ სოფელში ქართველი არავინ არის და ბავშვები მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობენ. აქ მცხოვრებ მოსწავლეებს ქართულენოვან მოსახლეობასთან კომუნიკაცია არ აქვთ. ტელევიზორშიც კი მხოლოდ თურქულ და აზერბაიჯანულ არხებს უყურებენ. ქართული მათ მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე ესმით. დაწყებით კლასებში ბავშვები ერთდროულად სწავლობენ ქართულ, აზერბაიჯანულ და კიდევ ერთ უცხო ენას, რაც მათთვის რთულია და ამის გამო ენის სწავლის მოტივაციაც არ აქვთ. მაღალ კლასებში მოსწავლეები უმაღლესი*

სასწავლებლებისთვის ემზადებიან და ქართული ენის შესწავლასაც უფრო სერიოზულად ეკიდებიან.”[ა.მეტრეველი,2016]

მარნეულის რაიონის სოფელ ყურალში მცხოვრები მე-11კლასის მოსწავლე ნურთაქ გარაევა კი ამბობს, რომ ქართული ენის სწავლა რთული არ არის, უბრალოდ, მონდომებაა საჭირო. მისი თქმით, სოფელში თუ ვინმეს უმაღლესი განათლების მიღება უნდოდა, სასწავლებლად აზერბაიჯანში ან თურქეთში მიდიოდა, რადგან ყურალში ქართული არავინ იცოდა. სოფელში მხოლოდ აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და ქართულად ვერავისთან ლაპარაკობენ. ის საქართველოში დაიბადა და უნდა, რომ აქ ისწავლოს და იმუშავოს. ქართული ენა უკვე ისწავლა. გამოცდა ჩააბარა და სერტიფიკატიც აიღო. ამის შემდეგ ბანაკში წავიდა და ქართულ ოჯახში ცხოვრობდა. მათთან ურთიერთობა ენის სწავლაში ძალიან დაეხმარა. უხარია, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად წასვლა არსად მოუწევს და საქართველოში ჩააბარებს.(ნ. გარაევა, 2016)

სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ზაურ ხალილოვი ამბობს, რომ თუ 6-7 წლის წინ ეთნიკური აზერბაიჯანელები უმაღლესი განათლების მისაღებად აზერბაიჯანსა და თურქეთში მიდიოდნენ და სახელმწიფო ენის შესწავლას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, სახელმწიფო პროგრამებმა - “1+4” და “ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა” მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა, თუმცა, გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება. როგორც ის აღნიშნავს, ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ქართულენოვან მოსახლეობასთან კომუნიკაცია არ აქვთ - ისინი სოფლებში მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობენ. როდესაც თბილისში ჩამოდიან, ცდილობენ, რომ ურთიერთობა ისევ ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან ჰქონდეთ. ისინი ერთგვარ თვითიზოლაციაში არიან და რეალურად, ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია არ ხდება. პრობლემებია სახელმწიფო პროგრამებშიც. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, ვინ არის სკოლის დირექტორი და როგორი მმართველია ის. ერთ-ერთი მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ ხშირად სკოლის დირექტორი მის სკოლაში არსებულ ქართული ენის მასწავლებლის ვაკანსიას მალავდა. ასევე, ცნობილია, რომ ქართულ ენას არაკვალიფიციური პედაგოგები - ქიმიის, ისტორიის ან ბიოლოგიის ისეთი მასწავლებლები ასწავლიან, რომელთაც ქართული ენის ცოდნაში კომპეტენტური

არ არიან. ის პრობლემა, რომ მათ შვილებს სახელმწიფო ენას არაკვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან, მშობელთა დიდ ნაწილს საერთოდ არ აწუხებს. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ეს ცოდნის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს. სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ენის შემსწავლელი პროგრამები, მაგრამ საზოგადოებაც უფრო აქტიური და მომთხოვნი უნდა იყოს. ზაურ ხალილოვი მიჩნევს, რომ მთავარი გარდატეხა ეთნიკური აზერბაიჯანელების ცნობიერებაში უკვე მოხდა და ის, ვინც საკუთარ მომავალს საქართველოს უკავშირებს, ქართულ ენასაც სწავლობს.

ამავე პრობლემებზე საუბრობენ არნოლდ სტეპანიანი და აგიტ მირზოევი ნაშრომში „ეროვნულ უმცირესობათა ენებზე განათლება საქართველოში“: „როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა არ იცის სრულყოფილად იმ ქვეყნის ენა, რომელშიც ცხოვრობს ძალიან ძნელია მათთვის აკადემიური ნაშრომის გაგება და სპეციალური ტერმინების გაშიფვრა. ყოველდღიური სასაუბრო ენის ცოდნა სრულიად არ არის საკმარისი, იმისთვის, რომ მათ შეისწავლონ სამეცნიერო ლიტერატურა. პრობლემა-დღეს ეთნიკური უმცირესობები, იღებენ რა ცოდნას მშობლიურ ენებზე, არა აქვთ შესაძლებლობა საჭირო დონეზე შეისწავლონ სახელმწიფო ენა და, ბუნებრივია, არ შეუძლიათ განაგრძონ განათლების მიღება ქართულ ენაზე. ამით ისინი, მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ამცირებენ თავიანთი სამოქალაქო გამოსადეგობის კოეფიციენტს და იზოლაციაში რჩებიან საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან“ [სტეპანიანი, მირზოევი, 2003]

ნაშრომში, „საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების პრობლემები“, რომელშიც მოცემულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი, მნიშვნელოვანია მათ მიმართ ქართული საზოგადოების განწყობის ზოგადი შეფასება. ისინი აღნიშნავენ, რომ ენის არცოდნა მათ ხშირად აყენებთ უხერხულ სიტუაციებში. უხერხული სიტუაციები იქმნება ყოველდღიურ ცხოვრებაში: ხშირად ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტში, მაღაზიაში რაიმეს ყიდვის დროს, ან ტრანსპორტით მგზავრობისას, ქართულად ცუდად ლაპარაკის გამო, მათთვის დაუცინიათ. თუმცა, ამავდროულად, აღნიშნავენ, რომ ქართული სამეზობლო გარემო მათ

მიმართ კეთილგანწყობილია, მათთან ურთიერთობას არ გაურბიან. განსაკუთრებით აღნიშნავენ თანატოლების გვერდით დგომასა და მხარდაჭერას (ჯაჯანიძე, 2013, გვ. 8).

მერი ლობჯანიძე ნაშრომში „სამოქალაქო საზოგადოება საქართველოს რეგიონებში, ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ აღნიშნავს, რომ არაქართველი მოსახლეობის საზოგადოებაში ინტეგრაციის დაბრკოლების მიზეზია ქართული ენის არცოდნა, რაც იწვევს გაუცხოებას ქართული და არაქართული თემების ეთნოსთა შორის. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო სხვა ეთნოსის მოსახლეობის უმეტესობა გარკვეულსირთულეებს აწყდება. ერთმანეთთან საკომუნიკაციო ენის არქონა ხშირად ქმნის გაუგებრობას და აღვივებს „უნდობლობას“ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის (ლობჯანიძე, 2009, პარაგრაფი 1.3).

როგორც შევხედეთ, ქართული ენის არცოდნა ხშირად ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს/სტუდენტებს ურთიერთობების დამყარება/შენარჩუნებაში, განათლების მიღებასა თუ დასაქმებაში. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა ეროვნულმა უმცირესობებმა უფრო მეტად გაითავისონ სახელმწიფო ენის სწავლის მნიშვნელობა/აუცილებლობა. საჭიროა, სკოლებმა უფრო მეტად ითანამშრომლონ მოსწავლის მშობლებთან, რადგან პირველ რიგში დაანახონ სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება. მათ კი, თავის მხრივ, მეტად შეუწყონ ხელი თავინთ შვილებს სწავლა-განათლების მიღებაში.

გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ ეთნიკური უმცირესობები ძირითადად ცხოვრობენ არაქართულენოვან გარემოში, უნდა დაინერგოს მეტი გაცვლითი პროგრამა, საზაფხულო ბანაკები, ერთობლივი ექსკურსიები, რათა ეროვნულ უმცირესობებს ქართულ გარემოში ყოფნის მეტი საშუალება ჰქონდეთ.

თავი 5. სხვადასხვა კვლევების მიმოხილვა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით საქართველოს მაგალითზე

§5.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების სოციალურ ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

კვლევა ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტების მიერ, 2017 წელს. კვლევა ეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების სოციალურ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. კვლევითი კითხვა მდებარეობდა შემდეგში: როგორია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების სოციალური ინტეგრაციის გამოცდილება?

ძირითადი ქვეკითხვებია:

- ❖ როგორ არიან ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები სასწავლო პროცესებში?
- ❖ როგორ ურთიერთობენ თანატოლები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან?
- ❖ როგორ არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები ჩართული საუნივერსიტეტო სოციალურ აქტივობებში ?

ფოჯუს ჯგუფის მსვლელობის დროს გამოიკვეთა ორი სახის რესპოდენტი: 1 – რომელიც არ აწყდებოდა სირთულეებს სასწავლო პროცესში და 2- რომელსაც შეექმნა გარკვეული სახის სირთულეები. ამ უკანასკნელი ტიპის რესპოდენტებმა დაასახელეს, ძირითადად, ორი სახის სირთულე: პირველი იყო ენის პრობლემა და მეორე – სასწავლო

მასალის დიდი მოცულობა. რესპოდენტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ისინი ძირითადად სწავლობენ სასაუბრო ენას და აკადემიურ დონეზე უკვე ძალიან რთულია მასალის ათვისება. ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ მათ ჯერ თავიანთ ენაზე უნდა თარგმნონ რა აინტერესებს ლექტორს, შემდეგ კი პასუხი უნდა იპოვნონ. იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ საგნებიც რთულია, პასუხის დაბრუნებამდე ძალიან დიდი დრო გადის.

ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას ოდნავ განსხვავებულ სირთულეზე გააკეთა აქცენტი ეთნიკური უმცირესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სტუდენტმა. მისი თქმით, ზოგიერთ საგანში აუდიტორიაში სტუდენტთა უმეტესობა ქართველია და სემინარის მომზადებისას ვერაფერს ლაპარაკობს ლექტორთან და ბავშვებთან. გარდა ამისა, ემინია, ლაპარაკის დროს შეცდომების დაშვების და ეს გარემოება ხელს უშლის მაღალი ქულების მიღებაში.

ასევე, ერთ-ერთი რესპოდენტი აცხადებს, რომ ის სპეციფიკურ სირთულეებს კი არ აწყდება არამედ, პირიქით, სწავლის პროცესში უპირატესობასაც ფლობს ქართველებთან შედარებით, რადგან მან იცის რუსული და ინგლისური ენები მაღალ დონეზე. ის თავის არგუმენტს ამყარებს იმით, რომ ძირითადად, ფაკულტეტზე მასალები ზემოთ აღნიშნულ ენებზეა ხელმისაწვდომი. ამასთანავე, არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ ვაკანსიების მოძებნის დროსაც, ეს ფაქტორი მას პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში, მონდომებით ასრულებენ იმ დავალებებს, რომლებიც სხვადასხვა საგანში ეძლევათ და ცდილობენ პოზიტიური და მეგობრული დამოკიდებულებით დაიმკვიდრონ თავი განსხვავებული ეთნოსის გარემოცვაში. გამოიკვეთა ის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც აბრკოლებს მათ ინტეგრაციასა და კომუნიკაციას ქართველებთან – ქართული ენის ცოდნა დაბალ დონეზე. სწორედ ამ პრობლემის გამო ერიდებიან ინტენსიურ ურთიერთობას ქართველებთან და ისევ საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან კონტაქტს ამჯობინებენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს კატეგორიულ

უარს ქართველ თანატოლებთან ურთიერთობაზე. ეთნიკური უმცირესობის უმეტესობა მათთან მეგობრობს და მთელი ძალისხმევით ცდილობს, გადალახოს ყველა ის ბარიერი, რომელიც ინტერაქციის პროცესს წინ ეღობება.

§5.2 ბილინგვური სწავლება

უცხოური კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ და კითხულობენ ორ ენაზე, აქვთ მეტი უპირატესობა მათ მონოლინგვისტ თანატოლებთან შედარებით (Byalystok, 1997, 2001). მკვლევარები ამბობენ, რომ ბავშვები, რომლებიც ორ ენაზე კითხულობენ (ქართულ-სომხურად და ქართულ-აზერბაიჯანულად, ქართულ კონტექსტში) უფრო სწრაფად ითვისებენ იმას, რომ სიტყვები მნიშვნელობების სიმბოლოებს აღნიშნავენ (Baker, 2006). კვლევის შედეგებით, აკადემიური, ლინგვისტური და კითხვის უნარები უმცირესობების ენებში ძალიან მარტივად ტრანსფორმირდება მეორე ენაში (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2013, გვ. 6) .

აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობები უშუალოდ სწავლის პროცესში მნიშვნელოვან პრობლემებს არ აწყდებიან. მათი ძირითადი სირთულე ისევ და ისევ ქართული ენის არასრულყოფილ ცოდნაში მდგომარეობს, რაც, თავის მხრივ, ართულებს მასალების სწავლას და სპეციფიკური ტერმინების გაგებას. ეს კი განაპირობებს იმას, რომ მათ ქართველ სტუდენტებთან შედარებით უფრო მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდებათ სასწავლად.

§5.3. არაქართულენოვან მოსწავლეებში ქართული ენის ცოდნის დონე -

სახელმწიფო შეფასება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმწიფო შეფასება პირველად 2018 წელს ჩაატარა. სახელმწიფო შეფასებამ აჩვენა,

რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლისას არაქართულენოვანი მოსწავლეების ნახევარზე მეტი მინიმალურ დონეზეც ვერ ძლევს სასწავლო გეგმას.

უფრო კონკრეტულად კი, შეფასების სკალის მიხედვით, სასწავლო გეგმის დაძლევის მაღალი მაჩვენებელი მოსწავლეების 12%-მა, საშუალო - 12%-მა, დაბალი - 13%-მა, ზღვარს მიღმა კი მოსწავლეების 63%-მა აჩვენა. თუმცა, თუკი მონაცემებს უფრო დეტალურად გავანალიზებთ, სასწავლო გეგმის დაძლევის მაჩვენებელი განსხვავდება სწავლების პირველი ენის (აზერბაიჯანულის, სომხურის, რუსულის) მიხედვით - აზერბაიჯანული - 13%, სომხური - 40%, რუსული - 77%.

როგორც კვლევის შედეგების წარდგენისას განათლების საკითხების მკვლევარმა, თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, სკოლებს შორის ამგვარ განსხვავებას ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს:

- არის თუ არა სკოლა განთავსებული ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილას?
- სად მდებარეობს სკოლა - ქალაქში თუ სოფლად?

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე დიდ სირთულეს მოსწავლეებისთვის წერა წარმოადგენს. მოსწავლეების შედეგები უკეთესია იმ სკოლებში, სადაც სასწავლო რესურსები უკეთეს მდგომარეობაშია (მასწავლებელი, სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკა). გარდა ამისა, მოსწავლეები უფრო მაღალ შედეგს იმ სკოლაში უჩვენებენ, სადაც ქართულის სწავლება პრიორიტეტულად მიიჩნევა.

კვლევაში ჩართული იყო ყველა სკოლა, რომელშიც არის არაქართულენოვანი სექტორი ან სწავლა მიმდინარეობს არაქართულ ენაზე - 259 სკოლა, 4142 მოსწავლე, 257 დირექტორი, 306 მასწავლებელი და 4028 მშობელი. კვლევა ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მე-7 კლასელ მოსწავლეებში.

ასევე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგებზე ქართულში, როგორც მეორე ენაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიები: საგაკვეთილო პროცესის მართვა, შეჯამება, ახსნის სიცხადე და მოსწავლეებზე ზრუნვა. გარდა ამისა, არაქართულენოვან გარემოში, იმ სკოლაში, სადაც

ქართულენოვანი ბიბლიოთეკაა, მოსწავლეები უკეთეს შედეგს აჩვენებენ ქართულში, როგორც მეორე ენაში.

კვლევების შედეგებს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული მრავალი ნაბიჯისა, ეროვნული უმცირესობების მიერ ქართული ენის ცოდნის დონე საკმაოდ დაბალია. თუმცა, საინტერესოა, კონკრეტულად რა მიმართულებით უნდა გატარდეს ღონისძიებები იმისთვის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა საქართველოში სრულყოფილად თუ არა, საჭირო დონეზე მაინც ისწავლონ სახელმწიფო ენა?!

სწორედ ამ შეკითვაზე პასუხის გაცემას ემსახურება ჩვენი სამაგისტროს ნაშრომი.

კვლევითი ნაწილი

ჩვენ, პირველ რიგში, გვინტერესებდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევადობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის პროცესის აღწერა:

კვლევის პირველი ეტაპი: შევიმუშავეთ კონკრეტული მიზნები და დავიწყეთ პასუხების ძიება. თავდაპირველად მოვიძიეთ თემის ირგვლივ არსებული მეორადი ინფორმაცია და დავამუშავეთ. ასევე, მოვიძიეთ თემასთან დაკავშირებული კვლევები და განვიხილეთ საქართველოს მაგალითზე. განვსაზღვრეთ მეთოდოლოგია, ანუ კვლევის პროცესში მივმართეთ როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევას. თვისებრივი კვლევის დროს გამოვიყენეთ კვლევის შესაბამისი ლიტერატურის და დოკუმენტაციის ანალიზი(სამაგიდე კვლევა).

კვლევის მეორე ეტაპი: მოვიძიეთ რესპოდენტთა ის ჯგუფი, რომელიც შეიძლება დაგვხმარებოდა საკვლევო თემის სრულყოფაში.

კვლევის მესამე ეტაპი: რაოდენობითი კვლევის დროს გამოვიკითხეთ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები. გამოვიკითხვის დროს გამოყენებულ იქნა სპეციალურად შედგენილი კითხვარი, რომლის კითხვებიც გამომდინარეობდა საკვლევო თემის შინაარსიდან და ორიენტირებული იყო დასკვნის/შედეგის მიღებაზე.

კვლევის მეოთხე ეტაპი: ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან ჩავატარეთ ტესტირება, რომლის დახმარებითაც თვალსაჩინო გახდა ეთნიკური უმცირესობების საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ქართული ენის ცოდნის დონე იყო მაღალი, საშუალო თუ დაბალი.

კვლევის შეზღუდვა: შეზღუდვა არის ის, რომ მეშვიდე-მეცხრე კლასის მოსწავლეები, რომლებიც ტესტირებაში იღებდნენ მონაწილეობას, არიან ქვემო ქართლის მასშტაბით

შერჩეული მოსწავლეები. შესაბამისად, მიღებული შედეგები ვრცელდება მხოლოდ აღნიშნულ რეგიონზე. რაც შეეხება გამოკითხვას, იგი მოიცავს როგორც ქვემო ქართლის, ასევე სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებს.

კვლევის დროს გამოიკითხა არაქართულენოვანი საჯარო სკოლების 41 პედაგოგი, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საბაზო საფეხურზე მყოფ მოსწავლეებთან. პედაგოგები მუშაობენ როგორც სამცხე-ჯავახეთში, ასევე ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან საჯარო სკოლებში/სექტორებზე. კითხვარი იყო ანონიმური, რადგან მასწავლებლებს მაქსიმალურად გულწრფელად გაეცათ კითხვებზე პასუხები. კითხვარის შევსებამდე მასწავლებლებს განემარტათ კითხვარის შევსების მიზანი. შესასწავლი საკითხის ირგვლის დასმული იყო როგორც ღია, ასევე დახურული კითხვები.

რაც შეეხება მოსწავლეებთან გამოყენებულ ტესტებს, ისინი შედგენილია ჩვენ მიერ. შეიცავს როგორც მარტივი, ასევე საშუალო სირთულის სავარჯიშოები. საერთო სურათის აღსაქმელად გთავაზობთ მასწავლებელთა გაცემულ პასუხებსა და მოსწავლეთა ტესტირების შედეგებს ერთიანი, შეჯერებული სახით.

ჩვენი კვლევის პროცესი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. პირველ ეტაპზე განვიხილოთ მასწავლებელთა მიერ კითხვარზე გაცემული პასუხები.

დავიწყოთ იმით, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა 70.8 % ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში მუშაობს. 20.5% სამცხე-ჯავახეთში, ხოლო დარჩენილი 8.7 % კი კახეთში. აქედან 94% ქალია, 6% კი - მამაკაცი.

❖ **რომელ ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან თქვენი მოსწავლეები?**

ამ კითხვაზე რესპოდენტთა 67% პასუხობს, რომ მათი მოსწავლეები აზერბაიჯანელები არიან. 32%-ს შეადგენს სომეხი მოსწავლეები, ხოლო დარჩენილი 1% სხვა ეროვნების წარმომადგენელია.

❖ **რამდენი წელია, რაც არაქართულენოვან სკოლაში ასწავლით?**

გამოკითხულთა 42 %-ს არაქართულენოვან სკოლაში მუშაობის 5 წლამდე გამოცილება აქვს. 30 % 6-10 წელია რაც ასეთ სკოლაში მუშაობს. 9% მუშაობს 11-15 წლის განმავლობაში, ხოლო დარჩენილი 19% კი 16 წელზე მეტია, რაც ეროვნულ უმცირესობებს ასწავლის. მასწავლებელთა მუშაობის ხანგრძლივობით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ გათვითცნობიერებული და კომპეტენტური რესპოდენტები იქნებიან.

❖ **როგორ ფიქრობთ, მოსწავლეთათვის მიღწევადია თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები?**

რესპოდენტთა 24 % ფიქრობს რომ დიახ, მიღწევადია. 63 % ფიქრობს, რომ მხოლოდ ნაწილობრივია მიღწევადი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. 6% ამბობს, რომ ნაკლებად შეიძლება განსაზღვრული მიზნების მიღწევა, ხოლო 7%-ს კი სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნია შედეგზე გასვლა.

მას შემდეგ, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების ნაწილობრივმა მიღწევადობამ 63% აჩვენა, საინტერესოა, კონკრეტულად რომელ კომპონენტს აკმაყოფილებენ ან ვერ აკმაყოფილებენ მოსწავლეები ყველაზე მეტად. ჩვენი შემდეგი შეკითხვა ასეთია:

❖ **თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ენის ფლობის რომელ კომპონენტს აკმაყოფილებენ მოსწავლეები?**

პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 71% ფიქრობს, რომ მოსწავლეებს ყველაზე მეტად უადვილდებათ კითხვის კომპონენტი. 15 % ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები ყველაზე უკეთ ქართულ ენაზე ლაპარაკს ახერხებენ. 10 % თვლის, რომ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან მოსწავლეებს მოსმენილის გაგება-გააზრება არ უჭირთ. ხოლო 4%- ის აზრით კი მოსწავლეებს წერის კომპონენტში აქვთ ყველაზე კარგი შედეგი. კვლევა ნელ-ნელა ცხადყოფს, ეროვნული უმცირესობების სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების არსებულ რეალობას, რაც გვეხმარება დასკვნების გამოტანაში.

❖ **ყველაზე მეტად ენის ფლობის რომელ კომპონენტს ვერ აკმაყოფილებენ მოსწავლეები?**

წინა შეკითხვის პასუხებისგან განსხვავებით, აქ პროცენტული მაჩვენებლები სხვაგვარად გადანაწილდა. კერძოდ, რესპოდენტთა 29% თვლის, რომ მოსწავლეებს ყველაზე მეტად მოსმენილის გაგება-გააზრება უჭირთ. 31%-ის აზრით, მოსწავლეთათვის ყველაზე დიდ სირთულეს ლაპარაკი წარმოადგენს. 27%-წერა 7%-ს კი კითხვა მიაჩნია ყველაზე დიდ სირთულედ მოსწავლეებში. ხოლო დარჩენილი 6% ფიქრობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ვერცერთ ვერ აკმაყოფილებენ.

❖ **თქვენთვის რამდენად მისაღებია ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები შინაარსობრივად?**

გამოკითხულთა 69% თვლის, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოების შინაარსი საბაზო საფეხურზე მისაღებია. ხოლო 31 % კი ამბობს, რომ არ არის მისაღები.

❖ **ჩამოთვლილთაგან რას შეცვლიდით სახელმძღვანელოების შინაარსში?**

რესპოდენტთა 17% ფიქრობს, რომ სახელმძღვანელოების შინაარსს დაამატებდა საკითხავ (ლიტერატურულ და საინფორმაციო) ტექსტებსაც. 39 %-ის აზრით სახელმძღვანელოებში უნდა იყოს გრამატიკული კომპონენტებიც. 36 %-ს მიაჩნია, რომ სახელმძღვანელოები მეტად უნდა იყოს დატვირთული ქართველი მწერლების ბიოგრაფიითა და ქართული კულტურისა და ტრადიციების შესახებ ინფორმაციით. ხოლო 7%-ის აზრით, სახელმძღვანელოებში არაფერია შესაცვლელი.

❖ **თქვენი აზრით, რა უშლის ხელს ქართული ენის შესწავლას? შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე ვარიანტი)**

გამოკითხულ მასწავლებელთა 15 % თვლის, რომ მოსწავლეებს არ აქვთ ქართული ენის სწავლის მოტივაცია. 35% ფიქრობს, რომ მოსწავლეთა მშობლები არ არიან დაინტერესებულნი მათი შვილების წარმატებით. 25%-ის აზრით, სასწავლო პროგრამა არ შეესაბამება მოსწავლეთა შესაძლებლობებს. ხოლო 32%-ის თქმით, მოსწავლეთათვის

თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის სასწავლო რესურსი. რესპოდენტთა ძირითადი რაოდენობა-82%, თვლის, რომ არაქართულენოვან მოსწავლეებს არ აქვთ შესაბამისი ენობრივი გარემო. გამოკითხულთა 50% ფიქრობს, რომ საჭიროა ადგილობრივი მასწავლებლების მეთოდური გადამზადება. 17 %-ის აზრით, ქართული ენის დაუფლების ხელისშემშლელ ფაქტორად კიდევ სხვა მიზეზიც შეიძლება დასახელდეს.

❖ **თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რას შეცვლიდით ეროვნულ სასწავლო გეგმაში (ქართულის, როგორც მეორე ენის მიმართულებით)**

„ესაა სამაგისტრო კვლევაზე მეტი :) ასე უცებ პასუხის გაცემა რთულია. ჩავატარებდი კვლევას, რამდენად აღწევენ შედეგს მოსწავლეები სხვადასხვა რეგიონში და იმის მიხედვით გავამარტივებდი სასწავლო გეგმას“

„უფრო მოსწავლეებზე მორგებულ გეგმას შევიმუშავებდი“

„ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული პროგრამა შესაბამისობაში არ მოდის სახელმძღვანელოებთან“

„ენობრივ გარემოს უფრო დავტვირთავდი ქართული ენის კომპონენტით“

„სახელმძღვანელოებზე ორიენტირებულს გავხდი, ან პირიქით“

„არსებული სასწავლო გეგმა ძალიან მომწონს“

„მცურავ ესგ-ს შემოვიღებდი. რაც ნიშნავს სხვადასხვა დონის შემოღებას საფეხურების მიხედვით. ანუ საფეხურზე იქნება სამი დონის სტანდარტი იმისდა მიხედვით, თუ რა დონე აქვთ მოსწავლეებს.“

„დამატებით დონისძიებებს ჩავნიშნავდი მოტივაციის ასამაღლებლად .“

„ჩემი აზრით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესაცვლელი არაფერია, მაგრამ ჩვენს მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ კომუნიკაცია ქართულენოვან ბავშვებთან.“

„V დონე- რთულია ზმნის 4მწკრივის შესწავლა“

„არაფერს შეცვლიდი“

„ეროვნულ სასწავლო გეგმაში არაფერს შევცვლიდი“

„სახელმძღვანელოებს. უფრო მეტ ტექსტებს შევიტანდი და მაღალ დონეში ქართველი მწერლების როგორც ბიოგრაფიას, ასევე შემოქმედებას ასაკის შესაბამისად“

“დამატებითი სასწავლო რესურსი“

„უფრო მეტი პრაქტიკული აქტივობაა საჭირო“

„სასწავლო მასალას“

„შედარებით გავამარტივებდი სტანდარტის მოთხოვნებს“

„არაფერს“

„მხატვრული ტექსტებით დავტვირთავდი სასწავლო მასალას და გრამატიკაზე მეტ ყურადღებას გავამახვილებდი, რადგან ლაპარაკის დროს პირველ ადგილზე გრამატიკული შეცდომები მოდის.“

„სახელმწიფომ მეტად უნდა დაავალდებულოს“

“საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმას იმდენად დატალურად არ ვიცნობ ორ წუთში შევაფასო“

„არაფერს“

„არაფერს“

„სახელმძღვანელოებს“

❖ თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა უკეთესად ისწავლონ ქართული ენა?

„პირველ რიგში უნდა გათავისუფლდნენ უვიცი მასწავლებლები. მასწავლებელს, რომელსაც არ მიუღია უმაღლესი განათლება ან/და ამ უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ მისცა სათანადო ცოდნა, ტრენინგით ვერ უშველი. ქართული რომ არ იცის და ქართულის სპეციალისტია არაა, ის ქართულის მასწავლებლად არ უნდა მუშაობდეს. ეს არის უპირველესი მოთხოვნა. საჭიროა პროფესიონალი კადრების წახალისება. თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვა სწავლების პროცესში. მონიტორინგი ამ სასწავლო პროცესის. ენობრივი გარემოს შექმნა ბავშვებისთვის: ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ბანაკები, პროექტები, ექსკურსიები, გაცვლითი პროგრამები.“

„ქართულის მასწავლებლები უნდა შევცვალოთ“

„რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი უნდა ჩაერთოს ამ საერთო კეთილ საქმეში“

„აუცილებელია ყველა საგანში, საწყის ეტაპზე მაინც რამდენიმეში ორენოვანი სწავლების დანერგვა, უნდა შეიქმნას შესაბამისი მოსწავლის წიგნები და უაზროდ ნათარგმნი წიგნები ამოიღონ სწავლებიდან, როგორც მაგ. ისტორიაშია, აუცილებელია ყველა საგნის მასწავლებელმა იცოდეს ქართული ენა, რომ ორ ენაზე შეძლონ სასწავლო პროცესის წარმართვა. ან უნდა გაზარდოს პროგრამამ „არაქართულენოვან მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა“ მიღება და სხვა საგნებშიც გამოაცხადოს დამხმარე მასწავლებლების ვაკანსია. აუცილებელია ასევე გარემო, მოსწავლეების აქტიურად ჩართვა, როგორც სოფლის ცხოვრებაში, ასევე სხვადასხვა პროექტებში. მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ, რომ თავად შეუძლიათ რაღაცის შეცვლა და ამისათვის პირველ რიგში ენის ცოდნაა საჭირო.“

„მედია ქართულ ენაზე გამოიყენონ, წიგნი იკითხონ ქართულად და მეტი ინტერაქცია ქართულენოვან სამყაროსთან“

„აუცილებლობა უნდა ნახონ შემდგომი დასაქმების კუთხით.“

„ქართული საბავშვო ფილმების ყურება შედეგს გააუმჯობესებდა“

„ფუნქცია უნდა მიენიჭოს ენას“

„უნდა იგრძნონ ქართული ენის სწავლების საჭიროება“

„მეტი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო ენის მატარებელ საზოგადოებასთან, ხშირად უნდა ხორციელდებოდეს ხვდასხვა სახის პროექტები, რომლებშიც ეთნიკური უმცირესობებიც ჩაერთვებიან და მეტი კომუნიკაციის საშუალება ექნებათ ქართულ საზოგადოებასთან.“

„ჩემი აზრით, უნდა ჩატარდეს ღონისძიებები, შეჯიბრებები, ექსკურსიები ქართულენოვან ბავშვებთან.“

„საჭიროა შესაბამისი ენობრივი გარემო - ღონისძიებები ქართველ მოსწავლეებთან ერთად, ბანაკებში მონაწილეობა, მცირე გაცვლით პროგრამები. ყველა ის ღონისძიება, რაც მათ ქართულენოვან გარემოში ამყოფებთ.“

„აუცილებელია ქართულ გარემოში ყოფნა“

„მაგისტრის საჭიროა კომუნიკაცია ქართულენოვან მოსახლეობასთან“

„უფრო მეტი ინტეგრაცია ქართველ მოსწავლეებთან, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არაფორმალურ განათლებას“

„დამატებითი რესურსები, წიგნებით უზრუნველყოფა და ბევრი ქართულის მასწავლებელი“

„უნდა შექმნილიყოს ქართული გარემო“

„ავთენტუკური ტექსტები უფრო მეტი უნდა იყოს“

„მასწავლებელთა კვალიფიკაცია; სახელმძღვანელოები ავთენტუკური ტექსტებით; აუდიო-ვიდეო რესურსები;“

„დამეგობრებულ ქართულ სკოლებში გაცვლით სემესტრებს გავაკეთებდი, რითიც ქართულ გარემოს შევუქმნიდი და შესაბამისად უფრო მარტივად დაეუფლებიან ენას“

„მოსწავლეებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ თავიანთ თავზე“

„მივცეთ მოსწავლეებს მეტი მოტივაცია“

„მხატვრული ტექსტებით დავტვირთავდი სასწავლო მასალას და გრამატიკაზე მეტ ყურადღებას გავამახვილებდი, რადგან ლაპარაკის დროს პირველ ადგილზე გრამატიკული შეცდომები მოდის.“

„მგონია, რომ ყველაფერი კეთდება საამისოდ“

„საჭიროა მეტი ინტეგრაცია ქართულ გარემოსთან. დამეგობრება ქართველ ბავშვებთან, ბანაკები და სახვა გრძელვადიანი პროექტები“

„მე-5 შეკითხვაში დასახელებული ფაქტორები უნდა შეიცვალოს“ (წ. როგორ ფიქრობთ, მოსწავლეთათვის მიღწევადია თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები?)

„სახელმძღვანელოები და მეტი სასწავლო რესურსია საჭირო“

„ეროვნულ გამოცდებზე დაინიშნოს ქართული ენის გამოცდა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის.“

„დავანახოთ მისი საჭიროება“

„სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულოს გავუხდინო, არა მხოლოდ მოსწავლეს, სხვა პოლიტიკით მოვდებოვდი ენის ფლობას.“

❖ არის თუ არა სკოლები უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებით?

გამოკითხულ მასწავლებელთა 27 %- ის აზრით, სკოლები უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით. 61% ფიქრობს, რომ სასწავლო რესურსებით ნაწილობრივია აღჭურვილი სკოლები. 12%- ის აზრით კი, სკოლებს არ გააჩნიათ სასწავლო რესურსები.

❖ თქვენს სკოლაში ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა დაახლოებით რამდენ %-ს აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია?

რესპოდენტთა 56% ამბობს, რომ მათ სკოლაში კომპეტენცია დადასტურებული აქვს მასწავლებელთა 0-30%-ს. 37 %- ის თქმით მათი სკოლიდან კომპეტენტურ

მასწავლებლებს შეადგენს 40-80%. ხოლო 7%- ის თქმით, მათი სკოლის მასწავლებელთა 90-100 %-ს აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია.

❖ როგორ ფიქრობთ, რამდენად კვალიფიციური კადრია დასაქმებული ქართულის, როგორც მეორე ენის მიმართულებით?

გამოკითხულთა 10 % აღნიშნავს, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები სავსებით კვალიფიციურნი არიან. 54%- ის აზრით, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები საკმაოდ კვალიფიციურები არიან. რესპოდენტთა 32% ფიქრობს, რომ მასწავლებლები ნაკლებად კვალიფიციურები არიან. ხოლო 4%- ის აზრით, ისინი სრულიად არაკვალიფიციურები არიან.

❖ რა საჭიროებებს ხედავთ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით?(შეგიძლიათ დააფიქსიროთ რამდენიმე პასუხი)

გამოკითხულთა 66%- ის აზრით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით საჭიროა ტრენინგები. 37% ფიქრობს, რომ აუცილებელია გაცვლითი პროგრამები. 20%- ის აზრით საჭიროა კონფერენციები. ხოლო 32 % დამატებით სხვა საჭიროებებს ხედავს.

აღნიშნული კვლევის შედეგებიდან შეგიძლია დასკვნების ჩამოყალიბება. შეგახსენებთ, რომ კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც ქვემო ქართლის, ასევე სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის ქართველი, სომელი და აზერბაიჯანელი მასწავლებლები.

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების სრულად დაძლევა. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. ეს მიზეზებია: ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შეუსაბამობა მოსწავლეთა შესაძლებლობებთან, არაქართულენოვანი სასწავლო გარემო, მასწავლებელთა არაკომპეტენტურობა,

მშობელთა ინტერესის ნაკლებობა მათი შვილების სწავლა-განათლების მიმართ, სახელმძღვანელოების შინაარსი...

მეორე ეტაპზე განვიხილოთ არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის მოსწავლეთა ტესტირების შედეგები საბაზო საფეხურზე. (ტესტის ნიმუში იხილეთ დანართში N3)


ტესტირება ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონის 4 საჯარო სკოლაში. ტესტები წერეს VII-VIII-IX კლასის მოსწავლეებმა. ტესტები შედგებოდა მარტივი, საშუალო სირთულის და რთული ღია და დახურული კითხვებისგან.

- N1; N2; N3; N4 - მარტივი დავალებები.
- N5; N6; N8 - საშუალო სირთულის დავალებები.

N7; N9 - რთული დავალებები (ტესტის ნიმუშის სანახავად იხილეთ **დანართი N4**)
მაქსიმალური ქულა - 36 (ქულები დაიწერა პირობითად). შეფასების დონეები კი ასე გადანაწილდა:

- მარტივი დავალებები(13ქულა) - ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე
- საშუალო სირთულის დავალებები (13ქულა) - ქართული ენის ცოდნის საშუალო დონე
- რთული დავალებები (13ქულა) - ქართული ენის ცოდნის მაღალი დონე

დიაგრამა N1



გამოკითხული 100 არაქართულენოვანი მოსწავლიდან 32%-მა სწორად გასცა პასუხი მხოლოდ მარტივ კითხვებს (მაქსიმალური ქულა დაიწერა 13). ანუ, აჩვენა ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე. 50%-მა, როგორც მარტივ, ასევე საშუალო სირთულის შეკითხვების უმეტესობას სწორად უპასუხა(მაქსიმალური ქულა დაიწერა 24), ანუ აჩვენა საშუალო დონე. ხოლო 18%-მა წარმატებით გაართვა თავი, როგორც მარტივ და საშუალო სირთულის დავალებებს, ასევე - რთულ საკითხებს. (მაქსიმალური ქულა დაიწერა 32) შესაბამისად, აჩვენა ქართული ენის ცოდნის მაღალი დონე.

ტესტირების შედეგებიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან განათლების სისტემაში გატარებული სხვადასხვა ღონისძიებებისა ეროვნული უმცირესობების მოსწავლეები ვერ ფლობენ ქართულს შესაბამის დონეზე.

დასკვნები

- ✓ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა საჭირო დონეზე ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას.(თუმცა, შეგახსენებთ, რომ ტესტირება ჩატარდა ქვემო ქართლის მასშტაბით). ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეთა 50%-მა ტესტირების შედეგად მიიღო ქართული ენის ცოდნის საშუალო დონის შეფასება.
- ✓ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები, ძირითადად ,მოწყვეტილნი არიან ქართულ გარემოს, რაც ერთ-ერთი მიზეზია სახელმწიფო ენის არცოდნის. ისინი, ძირითადად, კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი და შესაბამისად კონტაქტი არ აქვთ ქართულ საზოგადოებასთან.
- ✓ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ გაცნობიერებული სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა. ხშირად მშობლები არ/ვერ უწყობენ ხელს თავიანთ შვილებს სწავლა-განათლების მიღებაში. ვერ აცნობიერებენ, რომ სწორედ ქართული ენის ცოდნა და აქ მიღებული განათლებაა პრიორიტეტი როგორც დასაქმების თვალსაზრისით, ასევე საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის.
- ✓ ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეთათვის არ არის მიღწევადი ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა, მოსწავლეთა ძალიან დიდ ნაწილს უჭირს ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის კომპონენტების დაძლევა. განსაკუთრებით მოსმენილის გაგება-გააზრება, წერა და ლაპარაკი.
- ✓ არაქართულენოვანი სკოლების უმეტესი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებით. ზოგიერთ სკოლაში ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო სახელმძღვანელოც კი არ მოიპოვება.
- ✓ ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები არ არის შინაარსობრივად სრულყოფილი.

- ✓ განათლების სისტემა განიცდის ქართულის, როგორც მეორე ენის კვალიფიციური კადრის ნაკლებობას.
- ✓ სახელმწიფო არ აკონტროლებს თუ რამდენად კომპეტენტურია მასწავლებელი საიმისოდ, რომ აწავლოს ქართული, როგორც მეორე ენა. არის შემთხვევები, როდესაც ქართულ ენას ასწავლის ისეთი მასწავლებელი, რომელიც სრულყოფილად ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა საკმაოდ მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. ამ კონტიგენტს, ძირითადად, წარმოადგენენ საპენსიო ასაკს მიღწეული პედაგოგები, რომელთაც რიგი მიზეზების გამო არ შეუძლია საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება.
- ✓ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა დიდი ნაწილი საჭიროებს პროფესიულ განვითარებას.

რეკომენდაციები

- ✓ სახელმწიფომ უნდა გამოიკვლიოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა ქართული ენის ცოდნის დონე.
- ✓ ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის საჭირო დონეზე არცოდნის შემთხვევაში უნდა გამოიკვლიოს, რა არის ამის გამომწვევი მიზეზები.
- ✓ პირველი ნაბიჯი, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას, ეს არის კვლევების ჩატარება სხვადასხვა რეგიონში, რათა ცხადდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევადობის შესაძლებლობა ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურზე. საჭიროების შემთხვევაში უნდა გამარტივდეს ეროვნული სასწავლო გეგმა.
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის თითოეულ კომპონენტში მისაღწევი მიზანი ზუსტად მოარგოს მოსწავლეთა შესაძლებლობებს.
- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული უმცირესობების მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ კომუნიკაცია ქართველ მოსწავლეთთან, ენობრივი გარემო უნდა დაიტვირთოს ქართული ენის კომპონენტებით. ხშირად უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახის პროექტები, რომლებშიც ეთნიკური უმცირესობებიც ჩაერთვებიან და ექნებათ ქართულ საზოგადოებასთან მეტი კომუნიკაციის საშუალება. ეს იქნება ღონისძიებები, შეჯიბრებები, გაცვლითი პროგრამები, ბანაკები თუ ექსკურსიები ქართულენოვან მოსწავლეთთან;
- ✓ სახელმწიფომ უნდა არეგულიროს, ეროვნული უმცირესობების მიერ მედია საშუალებების სახელმწიფო ენაზე თუნდაც მცირე დოზით გამოყენება. მოსწავლეებმა უყურონ საბავშვო ფილმებსა და მულტფილმებს ქართულ ენაზე.
- ✓ ქართული ენის სწავლის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფომ ეროვნულ უმცირესობებს უნდა შესთავაზოს წამახალისებელი პროექტები.
- ✓ სახელმწიფომ ეროვნულ უმცირესობებს უნდა დაანახოს ენის ცოდნის საჭიროება.
- ✓ უნდა შეიცვალოს ქართულის, როგორც, მეორე ენის სახელმძღვანელოების შინაარსი. სასწავლო მასალაში უნდა შევიდეს მხატვრული და საინფორმაციო

ტექსტები, ქართველი მწერლების ბიოგრაფიები, ინფორმაცია ქართული კულტურისა და ტრადიციების შესახებ. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გრამატიკის შესწავლას, რადგან მეტყველებისას მოსწავლეები ყველაზე მეტად გარამატიკულ შეცდომებს უშვებენ .

- ✓ სკოლებს უნდა ჰქონდეთ რაც შეიძლება მეტი სასწავლო რესურსი.
- ✓ აუცილებელია სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვა.
- ✓ რაც შეიძლება მეტი კომპეტენტური მასწავლებელი უნდა შევიდეს სკოლებში.
- ✓ საჭიროა პროფესიონალი კადრების მოზიდვა/წახალისება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახმანი კ. - ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალეთნიკურ საზოგადოებებში, 2006
2. ეროვნული სასწავლო გეგმა - ქართული, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხური, 2018-2024
3. ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი, ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა: საბოლოო ანგარიში 2004-2006
4. ინტერვიუ ნინო ბოლქვაძესთან, ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის თბილისის ოფისი, 12 დეკემბერი, 2008
5. ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, ანა ჟვანიასთან, თბილისი, 16 დეკემბერი, 2008 წ.
6. იუნესკო, საქართველოს ანგარიში მულტილიგვალისა და კიბერსივრცის გამოყენების შესახებ
7. ლობჯანიძე მ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოს რეგიონებში: ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, თბილისი 2009
8. მეხუზლა ს. რომე ე. - განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, ECMI-ის სამუშაო მოხსენება №23, 2005 გვ.6)
9. მეხუზლა ს. რომე ე. - განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, ECMI-ის სამუშაო მოხსენება №22, 2004 გვ.8)
10. ნოდია გ. - ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში), თბილისი 2003
11. საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება 2008
12. საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“, გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

13. საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება, 2008
14. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №228/ნ - ვებგვერდი, 03.01.2012 წ.
15. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 7 ივნისის ბრძანება №111/ნ - ვებგვერდი, 11.06.2012წ.
16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 ივნისის ბრძანება №115/ნ - ვებგვერდი, 18.06.2012წ.
17. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №224/ნ - ვებგვერდი, 12.10.2012წ.
18. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 თებერვლის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 05.02.2013წ.
19. განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის ბრიფინგი, 2019
20. სტეპანიანი ა. მირზოევი ა. - ეროვნულ უმცირესობათა ენებზე განათლება საქართველოში, თბილისი 2003
21. სტეპანიანი ა. ხალილოვი, ზ. ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში, თბილისი 2003
22. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) - სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი, თბილისი 2017
23. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2017
24. ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრა ევროპის საბჭოს საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის თემაზე, ახალქალაქი, 2008 წლის 10 დეკემბერი.
25. ჯაჯანიძე ე. საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების პრობლემები, თბილისი 2013

26. ჯონათან უითლი, ჯავახეთის მხარის რეგიონული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები
27. <http://www.tpdg.ge/index.php?page=1-2-11&hl=ge>
28. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=20170>
29. <http://liberali.ge/articles/view/43930/araqartulenovan-skolebshi-datsyebit-doneze-qartulis-rogoris-meore-enis-tsignebi-ar-aqvt>
30. <http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents>
31. <http://tpdg.ge/geo/non-georgian-teachers/68>
32. <http://liberali.ge/articles/view/26952/araqartulenovani-skolebis-sakadro-gasachiri>
33. <http://liberali.ge/articles/view/26140/etnikuri-azerbaijanelebi-da-sakhelmtsifo-ena--qartuli-mat-mkholod-qartuli-enis-gakvetilze-esmit>
34. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1|--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.31&d=HASH02651e99259fecc3f6b80a.3.2>
35. <http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&id=2708&lang=geo>

დანართი N 1

ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდექსები

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული. მაგ., ქ.მ.III.

1. პირველი ნიშანი ქ.მ. მიუთითებს საგანს (ქ.მ. = ქართული მეორე ენა), მეორე ნიშანი III - დონეს, ბოლო ნიშანი 1 კი - შედეგის რიგს (1 = პირველი შედეგი).

დანართი N2

შინაარსი -

ტექსტი -

ტიპები: მხატვრული, არამხატვრული

ჟანრები:

- ✓ მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
- ✓ არამხატვრული ლიტერატურა:
 - ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება
 - ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV);
 - გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ;
 - დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან;
 - ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;
- ✓ მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობშემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;
- ✓ სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

მეტყველების ფუნქციური ტიპები:

- ✓ თხრობა
- ✓ აღწერა
- ✓ მსჯელობა სტრატეგიები

- ✓ მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები - ვარაუდების გამოთქმა; ცოდნის მობილიზება (წინარე ცოდნის გააქტიურება);
- ✓ მოსმენის სტრატეგიები - გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება; დამაზუსტებელი კითხვების დასმა; ინფორმაციის დაჯგუფება;
- ✓ კითხვის სტრატეგიები - გაცნობითი კითხვა: დაკვირვება ტექსტის აგებულებაზე, სათაურზე, აზნაცებზე, ილუსტრაციებზე, წარწერებზე, გამოყოფილ სიტყვებზე და ა.შ.; შესწავლითი კითხვა: გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება; შეკითხვების დასმა; ინფორმაციის დაჯგუფება; ძიებითი კითხვა კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით;
- ლაპარაკის სტრატეგიები - ცოდნის მობილიზება, საჭირო რესურსების წინასწარ მომზადება; რეპეტიცია; გაუგებრობის შემთხვევაში განმარტების თხოვნა, შეკითხვების დასმა; საკომპენსაციო საშუალებების (არავერბალური ენა, პერიფრაზირება, სიტყვიერი განმარტება...) გამოყენება; მხედველობითი კონტაქტის დამყარება;
- ✓ წერის წინარე სტრატეგიები - მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა; იდეებისა და ცოდნის მობილიზება; აუცილებელი რესურსების (ფოტოილუსტრაცია, სქემები და დიაგრამები და ა.შ.) თავმოყრა;
- ✓ წერის სტრატეგიები - გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველი ვერსიის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა;
- ✓ სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად - ენათშორისი პარალელების გავლება; დედუქცია, ინდუქცია, დამახსოვრების ხერხების გამოყენება; კონტექსტის, გამოცდილების ან ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვათა მნიშვნელობების დაზუსტება;
- ✓ მეტაკოგნიტური სტრატეგიები - აქტივობის/დავალების ღირებულების განჭვრეტა, მეტაკოგნიტური პაუზა: სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გახსენება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, ხელშემწყობი და შემაფერხებელი პირობების გაცნობიერება და წინსვლის ხელშეწყობა.

სამეტყველო აქტები:

- ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება);
- ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);
- ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);
- ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

ენობრივი საკითხები:

- **მორფოლოგია:** არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმღობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);
- **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და

უკავშირო შეერთება რთულ ქვეყნობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელსაზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);

- **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);
- **ლექსიკა:** სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული.

მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 15. მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.
2. სასკოლო საათობრივ ბადაში უნდა აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის მე-12 მუხლით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურება (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).
3. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).
4. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

მუხლი 16. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
3. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

მუხლი 17. აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.
2. V-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით.
5. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.
6. V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
51. საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
7. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ქულის გამოთვლისას.
8. მოსწავლე "აბიტურის საათის" ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 აგვისტოს

ბრძანება №138/ნ - ვებგვერდი, 29.08.2011 წ.

დანართი N4

ტესტი

ეროვნება-----

კლასი-----

1.ჩასვით საჭირო სიტყვა. 4ქ

1. ჩემს ძმას ----- უყვარს კალათბურთი.

ა)სულ

ბ)საერთოდ

გ)ძალიან

დ)როგორ

2.ჩემს სკოლაში ბევრი ----- სწავლობს.

ა)მასწავლებელი

ბ)მშობელი

გ)მოსწავლე

დ)დირექტორი

3.სტაფილო, კომბოსტო და ბადრიჯანი არის -----

ა)ხილი

ბ)რძის პროდუქტი

გ)ბოსტნეული

დ)ზღვის პროდუქტი

4. როცა ავად ვართ, მივდივართ -----

ა) მასწავლებელთან

ბ) ექიმთან

გ) მეზობელთან

დ) სკოლაში

2. ჩაწერეთ სიტყვიერად. 4ქ.

58-----

81-----

27-----

99-----

3. დაალაგეთ სიდიდის მიხედვით. 4ქ

ქვეყანა სოფელი ქალაქი-----

კენჭი ქვა ლოდი-----

საუკუნე დღე კვირა წელი თვე-----

წაკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები.

კვირის დღეები

მინდა გაგაცნოთ სამი მეგობარი - შიო, ლუკა და გიორგი. ბიჭები დისტანციურად მეგობრობენ. სამივე ქართველია, მაგრამ არ ცხოვრობენ საქართველოში. შიო ცხოვრობს საფრანგეთში, ლუკა - ინგლისში, გიორგი - საბერძნეთში.

ისინი ქართულ ენას სწავლობენ დისტანციურად და ერთმანეთს კვირაში ორჯერ, სამშაბათსა და პარასკევს ხვდებიან. ამიტომ, მათ ძალიან უყვართ კვირის ეს დღეები.

ამ ორი დღის გარდა სამივე მეგობარს მოსწონს შაბათი და კვირა. შაბათ-კვირას ბიჭები მხიარულად ატარებენ დროს: მიდიან ბუნებაში დასასვენებლად, თამაშობენ მეგობრებთან ერთად, ოჯახთან ერთად უყურებენ საინტერესო გადაცემებს, ხატავენ და აფერადებენ კომიქსებს....

კვირის დანარჩენი დღეებიდან გიორგის ყველაზე მეტად უყვარს ორშაბათი. ორშაბათს კლასელებს ნახულობს და ძალიან უხარია.

შიოს უყვარს ოთხშაბათი. ოთხშაბათს გაკვეთილების შემდეგ ის და მისი მეგობარი სკოლის სტადიონზე თამაშობენ და ერთად მიდიან სახლში.

ლუკას უყვარს ხუთშაბათი. ხუთშაბათს სკოლაში სპორტის გაკვეთილზე ფეხბურთს თამაშობენ. ფეხბურთი ლუკას საყვარელი სპორტია.

ქართულის გაკვეთილზე ბიჭებმა კვირის დღეების შესახებ ისაუბრეს და მიხვდნენ, რომ ყველა დღე საინტერესოა, მთავარია, ის გააკეთო, რაც მოგწონს.

4. დაალაგეთ კვირის დღეები რიგის მიხედვით: 1ქ.

შაბათი, ორშაბათი, სამშაბათი პარასკევი, კვირა, ოთხშაბათი, ხუთშაბათი.

5. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებასთან: 4ქ.

დანარჩენი

კარგ ხასიათზეა

დისტანციური მეგობარი

ის, ვინც ფიზიკურად არ არის შენთან

დროს ატარებს

სხვა; ამის გარდა ყველა

მხიარული

იმას აკეთებს რაც მოსწონს

6. მიუწერეთ წინადადებებს შესაბამისი სურათის ნომერი: 4ქ.



1.



2.



3.



4.

ოთხშაბათს შიო და მისი მეგობარი სკოლის სტადიონზე თამაშობენ.

ხუთშაბათს ლუკა სპორტის გაკვეთილზე ფეხბურთს თამაშობს.

გიორგის ორშაბათს კლასელების ნახვა უხარია

ოჯახთან ერთად უყურებენ საინტერესო გადაცემებს.

7. 7ქ.

სწორია თუ არასწორია?	+	-
----------------------	---	---

ბიჭები ერთმანეთის ნათესავები არიან.		
შიო, ლუკა და გიორგი ერთად თამაშობდნენ ფეხბურთს.		
შაბათი და კვირა სამივე მეგობარის საყვარელი დღეებია.		
შიოს კვირის დღეებიდან მხოლოდ ოთხშაბათი უყვარდა		
შიო, ლუკა და გიორგი კლასელები არიან		
ბიჭები ფიქრობენ, რომ კვირის შვიდივე დღე საინტერესოა.		
ბიჭები სამშაბათს და პარასკევს დისტანციურად თამაშობდნენ.		

8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა: 5ქ.

1. ინგლისურის გაკვეთილი მაქვს (სამშაბათი / სამშაბათს)
2. პლანეტარიუმში მივდივართ (შაბათი / შაბათს)
3. ჩვენი დასვენების დღეა (კვირა / კვირას)
4. აიგულს უყვარს და (პარასკევი და შაბათი / პარასკევს და შაბათს)
5. სკოლის ეზოში ხეები დავრგეთ . (ორშაბათი / ორშაბათს)

9. აწერეთ, რომელი დღე გიყვართ და რას აკეთებთ ამ დღეს? 5ქულა

კვირის დღეებიდან მე მიყვარს -----

იმიტომ, რომ -----
